საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 20 ნოემბერი. 2018 წ. №235 (8636) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ევროპარლამენტი შოკშია!..

ეკრილი ეფხოლეთიდან

შოკშია იმის გამო, რომ გაიგეს, თურმე ქართველები აპირებენ, თავისი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიონ ყოფილი საბჭოთა დიპლომატი, КГб-ს ოფიცერი (ეს ჩინი მუდმივია), რუსეთის ყოფილი მოქალაქე, ვინმე გ. ვაშაძე.

ევროპარლამენტარები **შოკში** არიან იმიტომ, რომ ეს იგივეა, ნაცისტური გერმანიის ყოფილი დიპლომატი, გესტაპოს ოფიცერი, გერმანელმა ხალხმა აირჩიოს გერმანიის პრეზიდენტად.

შოკში არიან იმიტომ, რომ უკვირთ, ნუთუ ქართველმა ხალხმა (ან პოლიტიკოსებმა) არ იციან, რომ ევროპის უმეტეს ქვეყანაში: გერმანია, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები და სხვა, - პოსტკომუნისტური რეჟიმის შემდეგ მიღებულია კანონი ლუსტრაციის შესახებ, რომლის თანახმადაც გ. ვაშაძის მსგავს პიროვნებებს საერთოდ ეკრძალებათ ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, მათი წარსულის გამო. ჩვენ კი, ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტად ვირჩევთ!

ევროპარლამენტარები შოკში იქნებიან, აბა რა!..

გაბრიელ მამარდაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყოფილი საბჭოთა დიპლომატი საქართველოს პრეზიდენტი ვერ უნდა გახდეს!

ვიქტორ ბოშტინარუ,
ევროპარლამენტარი

ПОЛИТИКУРИ ПРОСТИТУЦИА ДА ღალატის ფასი 5

დავით ზარდიაშვილი: აგვისტოს ომის დროს სააკაშვილსაც ვებრძოდით და რუსეთსაც, რადგან ერთ საქმეს აკეთებდნენ 4



გვატკინეთ და შეგვაშინეთ 9

რომანტიკული ზღაპარლექსები და კეთილი მეზღაპრე

600 ათასზე მეტ მოქალაქეს სესხები გაუნულდება!

დავალიანებას მთლიანად ფონდი „ქართუ“ ფარავს

600 ათასზე მეტ მოქალაქეს ბანკების, ონლაინორგანიზაციების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ დავალიანება გაუნულდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

„მინდა, განვუმარტო საზოგადოებას, რომ შავ სიაში დაფიქსირებული ვალების თითქმის 95 პროცენტი შედგება სესხებიდან, რომელთა ძირი თანხა არ აღემატება 2000 ლარს. საუბარია, 600 ათასზე მეტი მოქალაქის ფინანსურ ვალდებულებაზე, ბანკების, ონლაინორგანიზაციების თუ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომელიც ჯამში შეადგენს დაახლოებით მილიარდ ნახევარ ლარს. დღევანდელი გადაწყვეტილებით, ეს მილიარდნახევრიანი დავალიანება უნოლდება ჩვენს მოქალაქეებს.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში შედის თითქმის 150 ათასი სოციალურად დაუცველი და ათეულობით ათასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვენი მოქალაქე. მიმდინარეობს მუშაობა მოვალეთა რეესტრის ბაზებზე. ვალების განულების პროცესი დაიწყება 15 დეკემბერს და 31 დეკემბრამდე დასრულდება. 600 ათასი მოქალაქე და მათი ოჯახები 31 დეკემბრამდე გარანტირებულად ამოვა მოვალეთა რეესტრიდან და ვალის გარეშე შეხვდება ახალ წელს. ამ 600 ათასი მოქალაქის ვალის განულების შესახებ შეთანხმება, უკვე მიღწეულია, თუმცა მუშაობა გრძელდება სხვა ფინანსური ორგანიზაციებთან. ჩვენს ინიციატივასთან შემოერთების პარალელურად ვალებისგან გათავისუფლების მოქალაქეების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. სამწუხაროდ, კვლავ მწვავე გამოწვევად რჩება ე.წ. მევახშეების მიერ უსამართლოდ დაზარალებული მოქალაქეების პრობლემა. მინდა, გითხრათ რომ ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ და ვიმედოვნებთ დადებით შედეგს, ამ ნაწილშიც მივაღწევთ. ჩვენი მიდგომაა, ჭარბვალიანობის მძიმე ტვირთი ზოგადად იქნას დაძლეული. შესაბამისად, გავაგრძელებთ მუშაობას, რომ მოქალაქეებს თავისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი არ მისდიოდეთ, ვალების მომსახურებაში და ზოგადად, ვალების მომსახურების კოეფიციენტი გავუტოლოთ ჯანსაღ საერთაშორისო პრაქტიკას. ჭარბვალიანობის აღმოფხვრა არის სიღარიბის დამარცხების წინაპირობა.

ეს გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ასეულობით ათას ჩვენს თანამოქალაქეს, სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, რაც უფრო მდგრადს გახდის ჩვენს ეკონომიკას, ხოლო საბანკო-საფინანსო სექტორს უფრო ჯანსაღს. ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის ადამიანი იყო, არის და იქნება მთავარი ფასეულობა“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

დავალიანებას მილიანად ფარავს ფონდი „ქართუ“

ივანე მაჭავარიანი: ეს არის ერთჯერადი... თუ ვინმე სამომავლოდ მოხვდება ე.წ. შავ სიაში,არ ნიშნავს, რომ ვინმე მის მაგივრად გადაიხდის

„უპასუხისმგებლო დაკრედიტება იყო. არ ხდებოდა ადამიანების შემოსავლის შემოწმება. ხდებოდა დრაკონულად დიდი ჯარიმების და პროცენტების დარიცხვა. შემოვიდა რეგულაციები და ამის შეზღუდვა, რასაც ჰქვია პასუხისმგებლიანი დაკრედიტება. ეს არის ამოსავალი წერტილი. დღეიდან ვერც საფინანსო ინსტიტუტები შეძლებენ ასე იოლად დაკრედიტებას და ვერც ფიზიკური პირები შეძლებენ ასეთი სესხების აღებას. შესაბამისად, სუფთა ფურცლით იწყება ეს ყველაფერი და შემდგომში პასუხისმგებლობა ორივე მხარემ უნდა გაიზიაროს — როგორც საფინანსო ინსტიტუტებმა, ისე მსესხებლებმა. ეს ინიციატივა არ ნიშნავს, რომ მომავალში სესხის გადახდა არ მოხდეს. ამას არავინ წაახალისებს. ეს არის ერთჯერადი ფაქტი, რომელიც მიბმულია იმასთან, რომ შეიცვალა თამაშის წესები. მომავალი თამაშის წესები გამორიცხავს ასეთი დოზით ჭარბვალიანობას. თუ ვინმე სამომავლოდ მოხვდება ე.წ. შავ სიაში, არ ნიშნავს, რომ ვინმე მის მაგივრად გადაიხდის. ეს უნდა იცოდეს როგორც ჩვენმა მოსახლეობამ, ისე საბანკო სფერომ და ფინანსურმა ინსტიტუტებმა“, — განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

მოქალაქეები სპეციალურ ვებგვერდზე შეძლებენ, გადაამოწმონ, შეეხებათ თუ არა დავალიანების ჩამოწერა

2018 წლის 15 დეკემბრიდან 600 000 მოქალაქისთვის ვალების განულების პროცესი დაიწყება. ამის შესახებ გუშინ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა. როგორც მოგვიანებით ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა განმარტა, მოქალაქეები სპეციალურ ვებგვერდზე შეძლებენ, შეამოწმონ, შეეხებათ თუ არა საბანკო დავალიანებების ჩამოწერა. მის კომენტარს სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

ვებგვერდი მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი 3 დეკემბრიდან იქნება, სადაც თითოეულ ადამიანს შეუძლია, შევიდეს, შეიყვანოს თავისი მონაცემი და ნახოს, შეეხო თუ არა დავალიანების ჩამოწერის ინიციატივა. ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ამ მოქალაქეთა პირადი მონაცემები დაცული იქნება. ვალების ჩამოწერა და ტრანზაქცია კი განხორციელდება 15 დეკემბრიდან წლის ბოლომდე, 31 დეკემბრის ჩათვლით.

მინისტრის თქმით, დავალიანება, შეეხება შავ სიაში მყოფ იმ ადამიანსაც, რომელსაც აქვს არა ერთი არამედ რამდენიმე სესხი, თუმცა თითოეულის შემთხვევაში სესხის ძირი 2000 ლარს არ აღემატება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ მოქალაქეების მილიარდნახევარი ლარის ვალს „ქართულ“ ფონდი დაფარავს.ამასთან, მინისტრმა განაცხადა, რომ „ვივუსის“ კლიენტებს, რომლებიც შავ სიაში არიან, დავალიანება არ ჩამოეწერებათ, რადგან ამაზე კომპანიამ თავად განაცხადა უარი. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჭარბვალიანობის პრობლემასთან დაკავშირებით ახალი ინიციატივა წარადგინა. ამ ინიციატივის მიხედვით, 600 000 მოქალაქეს 31 დეკემბრამდე ბანკებისა და საფინანსო სექტორის მიმართ არსებული ჯამში მილიარდნახევრიანი ვალი გაუნულდება. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ვალების განულების პროცესი 15 დეკემბერს დაიწყება და 31 დეკემბერს დასრულდება.

ირაკლი კობახიძე: ჭარბვალიანობის პრობლემასთან დაკავშირებით პირველი განცხადება ბიძინა ივანიშვილმა მისი პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე გააკეთა

„ჭარბვალიანობის პრობლემის გადაჭრისკენ პირველ ნაბიჯს სჭირდებოდა, ბუნებრივია, რამდენიმეთვიანი დაგეგმვა. ეს მუშაობა დაიწყო რამდენიმე თვის წინ. როგორც მოგეხსენებათ, პირველი განცხადება ამის თაობაზე გააკეთა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მისი პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე. მისი ერთ-ერთი პირველი განცხადება ეხებოდა სწორედ ჭარბვალიანობის პრობლემას, რაც არის სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი წყარო ჩვენს ქვეყანაში“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ ინიციატივაზე ყურადღება გაამახვილა მოგვიანებით პრემიერ-მინისტრმა, მთვარობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურის წარმართვისას საქართველოს პარლამენტში.

„ახალი მთავრობა დამტკიცდა საქართველოში რამდენიმე თვის წინ. ჩვენ გვქონდა განხილვის პროცედურა პარლამენტში რამდენიმე თვის წინ და როდესაც პარლამენტი ნდობას უცხადებდა მთავრობის ახალ შემადგენლობას, ამ ნდობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი გახლდათ სწორედ ეს ინიციატივები. ამას, ბუნებრივია, სჭირდებოდა დრო. ჩვენი ამოცანა გახლდათ ამ ყველაფრის სრულყოფა წლის ბოლომდე, განხორციელება წლის ბოლომდე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის, რომ დღეს ხდება ამ ინიციატივების საზოგადოებისთვის გაცნობა“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მაინც ვის ჩამოეწერება დავალიანება?

საქართველოს საბანკო ასოციაცია ხაზს უსვამს, რომ კომერციულ ბანკებსა და ფონდ „ქართუს“ შორის გარიგება ერთჯერად ხასიათს ატარებს:

„საქართველოში მოქმედ ბანკებსა და ფონდ „ქართუს“ შორის დასრულდა წინასწარი მოლაპარაკება ვადაგადაცილებული სასესხო პორტფელის ნაწილის გაყიდვასთან დაკავშირებით. პორტფელი ძირითადად იმ მცირემოცულობითი საკრედიტო ვალდებულებებისაგან შედგება, რომლებზეც ვადაგადაცილება წარმოიშვა 2018 წლის 1 იანვრამდე და რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს:

2018 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით უწყვეტად ვადაგადაცილებულია; საკრედიტო ვალდებულების ძირი თანხა არ აღემატება 2 000 (ორი ათასი) ლარს; არ არის უზრუნველყოფილი ან უზრუნველყოფილია თავდებობით ან მოძრავი ქონებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი პირების ბაზაში რეგისტრირებულ მოვალეთა შემთხვევაში, საქმე ეხება იმ საკრედიტო ვალდებულებებს, რომელთა ნარჩენი ძირი თანხა არ აღემატება 2 000 (ორი ათასი) ლარს, ვადაგადაცილება წარმოიშვა 2018 წლის 1 ოქტომბრამდე და არ არის აღმოფხვრილი 2018 წლის 19 ნოემბრამდე.

საქართველოში მოქმედ ბანკებსა და ფონდ „ქართუს“ შორის მიღწეული შეთანხმების პირობების შესაბამისად ვადაგადაცილებული საკრედიტო ვალდებულებების საბოლოო სიების განსაზღვრა მიმდინარეობს და დასრულდება 2018 წლის 3 დეკემბერს.

„ბედნიერი ვარ, რომ ამ გზით მივდივართ!“

მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ ჭარბვალიანობა არის ერთ-ერთი ძალიან მძიმე პრობლემა, რომელსაც სჭირდება რეგულაცია — **„ბედნიერი ვარ, რომ ამ გზით მივდივართ“** — განაცხადა ზურაბიშვილმა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში მდებარე მეღვინეობა „მოსმიერში“ მევენახეებთან გამართული შეხვედრის შემდეგ. სალომე ზურაბიშვილის თქმით, აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება.

„მე, არაერთხელ მაქვს ჩემი აზრი გამოთქმული ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემს სამაჟორიტარო წინასაარჩევნო კამპანიაშიც ვსაუბრობდი ამ საკითხზე, თუ რამდენად რთულია ეს პრობლემა ასეთ ქვეყანაში, როდესაც, მაგალითად, ინტერნეტით შეიძლება მცირე კრედიტების აღება“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილი სოფელ ყარაჯალას მოსახლეობას შეხვდა

პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კახეთში ჩავიდა. სალომე ზურაბიშვილი სოფელ ყარაჯალას მოსახლეობას შეხვდა და ადგილობრივების პრობლემებს გაეცნო.

„დღეს ამ არჩევნებით, ნამდვილად, ახალი საქართველო იწყება. ამ ახალი საქართველოს მშენებლობაში თქვენი დიდი წვლილი იქნება. იმისთვის, რომ სახელმწიფო იყოს ძლიერი ადამიანი, დაცული უნდა იყოს. მე თქვენი პრეზიდენტი ვიქნები, თქვენ შეძლებთ, მომაწოდოთ თქვენი ტკივილი, პრობლემები, მე თქვენს წინაშე ვიქნები პასუხისმგებელი, მოვალ და ანგარიშს მოგახსენებთ იმის შესახებ, რას შევძლებ, ან რას ვერ შევძლებ. თქვენი იმედი მაქვს, არამხოლოდ არჩევნებში, არამედ მის შემდეგაც და ჩვენ ერთად ავაშენებთ ძლიერ საქართველოს, დაფუძნებულს ასეთ ძლიერ სოფლებზე და ადამიანებზე“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციის წევრებმა პარტია დატოვეს

„ევროპული საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციის წევრებმა პარტია დატოვეს. ამის შესახებ განცხადება პარტიის ბათუმის ოფისში აჭარის რეგიონულმა ხელმძღვანელმა რაულ თავართქილაძემ გააკეთა.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი, რაულ თავართქილაძის თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მხარდაჭერა გახდა.

„2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენ მხარი დავუჭირეთ ბატონ დავით ბაქრაძეს კანდიდატურას და სწორედ „ევროპული საქართველოს“ აჭარის რეგიონ ორგანიზაციის დამსახურებით პარტიამ 15 000-ზე მეტი ხმა მოიპოვა. ჩვენი მხრიდან დავით ბაქრაძის კანდიდატურის მხარდაჭერა განპირობებული იყო მისი დიპლომატიური გამოცდილებით და აქედან გამომდინარე, გვჯეროდა, რომ ეს იყო ქვეყნის ევროპული არჩევანი.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ამომრჩევლებს და ამავდროულად ვაცნობო იმ გადაწყვეტილების შესახებ, რაც ჩვენმა გუნდა მიიღო. მეორე ტურში ჩვენთვის მიუღებელია ნაციონალური მოძრაობის, გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურის მხარდაჭერა, ჩვენ ვემიჯნებით რუსულ სცენარს, სააკაშვილის და ვარშალომიძის მობრუნებას და ამიტომ ჩვენ თანამებრძოლებთან ერთად, სრული შემადგენლობით ვტოვებთ პარტიის აჭარის ორგანიზაციას და მათ შორის ხულოს, ბათუმის, ქობულეთის ხელმძღვანელები“, — განაცხადა თავართქილაძემ.

112-სა და წითელ ჯვარს შორის მემორანდუმი გაფორმდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-სა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის თანახმად, „112“ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ითანამშრომლებს, ასევე, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პირველი გადაუდებელი დახმარების შესახებ ცოდნის გავრცელებაში.

„ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲠᲘ“,

ᲐᲜᲣ „ᲣᲩᲔᲛᲝᲓ ᲕᲘᲗ ᲘᲛᲚᲔᲠᲗᲗᲐ!“

25 ᲬᲔᲚᲖᲔ მეტია, დღემდე ვერ გაგვითავისებია, რომ ჩვენ მცირე ერი ვართ და მაინც ვდიდგულობთ. არადა, საქართველო შემოგვეძარცვა, და თუ ასე გაგრძელდა, უფრო მეტად შემოგვეძარცვება. როდემდე?! მიზეზი ის იყო და ის არის, რომ თავის თავზე მზრუნველი ხელისუფლებანი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ენაცვლებიან. როდემდე?!

ჩვენ გვჭირდებოდა და დღეს განსაკუთრებით გვჭირდება არა თავისთავზე, არამედ ერზე მზრუნველი დიპლომატიური გამოცდილების პრეზიდენტი, რომელიც პარალელურ რეჟიმში დაალაგებს ურთიერთობებს რუსეთთან, ამერიკასთან, ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთსასარგებლო და ყველასთვის მისაღებ დიპლომატიურ ფორმატში. ასეთი კანდიდატი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილია, რომელსაც აქვს დიპლომატიური მოღვაწეობის 41-წლიანი გამოცდილება.

დიპლომატიური კარიერა მან საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივნის თანამდებობით 1974 წელი რომში დაიწყო. 11974 წელს რომში დაიწყო. 1977-1980 წლებში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის მეორე მდივნის თანამდებობაზე. 1980-1984 წლებში იგი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის თანამშრომელია.

1984-1988 წლებში სალომე ზურაბიშვილი ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივანი იყო. 1988-1989 წლებში ვენაში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის პირველ მდივნად მსახურობდა. მოგვიანებით, ზურაბიშვილი იყო კონვენციური შეიარაღებისშემცირების საკითხში საფრანგეთის მომლაპარაკებელი ჯგუფის უფროსი; 1989-1992 წლებში ნჯამენაში (ჩადი) საფრანგეთის საელჩოს მეორე მრჩეველი; 1992-1993 წლებში ბრიუსელში, ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის პოლიტიკური მრჩეველი; 1993-1996 წლებში ბრიუსელში, დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლობა — მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 1997-1998 წლებში პარიზში, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველი;

2003-2004 წლებში სალომე ზურაბიშვილი საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია; 2004-2005 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; 2006-2016 წელს საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი; 2010-2015 წლებში გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ექსპერტთა ერთ-ერთი ჯგუფის კოორდინატორია.

სწორედ ასეთი მდიდარი დიპლომატიური გამოცდილებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მქონე ქალბატონს ემუქრებიან რუსეთზე ფულმიყიდული და სამშობლოს გამყიდველნი.

თავის დროზე, ხომ სწორედ ასეთებს „მიუძღვნა“ დიდმა მგოსანმა თავის მრავლისმეტყველი ლექსი:

„ფარისეველნო, გაუტანელნო,
სხვასთან თავმხრელნო,
შინ ორმოს მთხრელნო,
ნაგავის მყრელნო, თქვე ჭრელო გველნო,
რამ შეგაძულათ, სთქვით, საქართველო?!“

სწორედ ასეთ ღორმუცელებს სურთ „ქართლის ჭირის“ შემდგომი გაღრმავება, რაც მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან საქართველოს გაქრობას ობიექტურად გამოიწვევს.

ამიტომ მხარი უნდა დავუჭიროთ დიპლომატიური მოღვაწეობის 41-წლიანი გამოცდილების მქონე პიროვნებას, უახლოეს პერსპექტივაში — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენ და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების რეალურად მსურველ საპრეზიდენტო კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს!

პატივისცემით,
ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲚᲘ,
ადამიანის უფლებათა სწავლებისა და დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო საჯარო სამართლის ექსპერტი, დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი.

ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚ-ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ!

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ გერმანელი პოლიტოლოგის დოლფ შტერნბერგერის წიგნი სათაურით „პოლიტიკის სამი ფესვი“ (ფრანკფურტი მაინზე, 1978), სადაც ავტორი პოლიტიკას განიხილავს სამ განზომილებაში — „პოლიტოლოგიკურად“, „დემონოლოგიკურად“ და „ესქატოლოგიკურად“.

ეს სამი ლოგიკა მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისგან. პირველს მიზნად აქვს დასახული ზრუნვა საზოგადო კეთილდღეობისთვის სახელმწიფოში. ამის თავკაცად ავტორი არისტოტელეს მიიჩნევს. მეორე, დემონოლოგიკა, მიზნად ისახავს საკუთარი თავის დამკვიდრებას (დემონის პოზიცია), ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც, საბოლოო ჯამში — მის გაბატონებას ემსახურება. აქ ავტორი მაკიაველს ეყრდნობა. მესამე, ესქატოლოგიკა, რომლის მამამამთავრად ავგუსტინეა მიჩნეული, მიზნად ისახავს წმინდანთა შეკრებას, რომლებიც სრულიად განსხვავებული, იმქვეყნიური, ჰარმონიული სამყაროსკენ ილტვიან.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს ყველა პრეზიდენტი დემონოლოგიკას განასახიერებდა და განასახიერებს. მაგრამ, არის მათში ერთი პრეზიდენტი, რომელიც ბოროტებითაა გამორჩეული. თუ რა იგულისხმება ამ ნათქვამში, უმჯობესია, შოპენჰაუერის სიტყვებით განვმარტო. იგი თავის წიგნში „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“ (თბილისი, 2016) შემდეგს იუწყება: „ადამიანმა თავისი კეთილდღეობა თუნდაც უმნიშვნელო დანამატით გაიმრავლოს, სხვისი მთელი ბედნიერება ან სიცოცხლე უნდა მოსპოს. ეს არის ეგოიზმის უმაღლესი გამოხატულება, რომლის გამოვლინებებს, ამ თვალსაზრისით, აჭარბებენ მხოლოდ ნამდვილი ბოროტების გამოვლინებები, რომლებიც სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი საკუთარი სარგებლის გარეშე სხვებისთვის ზიანისა და ტანჯვის მიყენებას ლამობენ“.

ამ აზრს ანვითარებს თავის „ეთიკაში“ (ბერლინი 1926) ათეისტი ფილოსოფოსი ნიკოლაი ჰარტმანი, რომელიც „სატანის იდეამდე“ მიდის. იგი წერს: „არავინ სჩადის ბოროტებას ბოროტების გამო, ყოველთვის დასახულია პოზიტიური მიზანი. მაგრამ, ხომ არსებობს სატანის იდეა, როგორც არსებისა, რომელიც ღირებულებით საწინააღმდეგოს სწორედ ამის გამო ახორციელებს“.

ვინმეს გადაჭარბებულად რომ არ მოეჩვენოს ამ მსჯელობის მისადაგება სააკაშვილისადმი, ვთხოვ, გაიხსენოს ასობით პატიმრის **უმიზნო** წამება და გაუპატიურება და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის ვიდეოფირზე გადაღება. როგორ გგონია, მკითხველო, ამ გადაღებულ ფირებს ვის მიართმევდნენ და ვინ ტკბებოდა მათი ხილვით?!

ყოვლად დაუშვებელია სააკაშვილ-ვაშაძის გამარჯვება არჩევნებში!

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲑᲐᲜᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲐ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქუჩებში გამოჩენილი აგრესიული შინაარსის ბანერის „არა ნაცებს, არა ბოროტებას!“ დამკვეთი ბიზნესმენი, წინანდლის ღვინის ქარხნის მფლობელი ალექსანდრე მეგუთნიშვილია.

როგორც მეგუთნიშვილი ამბობს, ის წინა ხელისუფლების დროს სრულიად უკანონოდ იყო დაკავებული და ამ ფორმით საკუთარი პოზიციის გამოხატვა სცადა. თუმცა ამბობს იმასაც, რომ პირები, რომლებმაც მას თანხა გამოსძალეს, ამ დრომდე ხელისუფლებაში რჩებიან.

მეგუთნიშვილის ინფორმაციით, „ქართულ ოცნებასთან“ ბანერებთან დაკავშირებულ ყველა ტექნიკურ დეტალს მისგან დამოუკიდებლად „ობიექტივის“ დამფუძნებელი მირიან ყარაულაშვილი აგვარებდა.

„ჯერ კიდევ მუშაობენ ის ადამიანები, ვინც ჩემს დაჭერაში მიიღო მონაწილეობა. ის, ვისთანაც ფული მივიტანე, დღეს ამ ხელისუფლებას კი უზის ბუნების დაცვაში და მეორე პიროვნება დღესაც სუს-ში მუშაობს.

ეს (თანხის გამოძალვა) ვერ ვაპატიე ნაცებს. მე მოვითხოვე, რომ ბანერზე ეგეც ყოფილიყვნენ გამოკრულები, მაგრამ მსხვილები დაბეჭდეს, ეგეც სასაყვედურო მაქვს. დიზაინი ჩემთან ერთად შეარჩიეს, მომეხმარნენ. ვინ დამეხმარა და ჩემი მეგობარი, რომელიც მუშაობს „ქართულ ოცნებაში“ — მირიან ყარაულაშვილი. ჩემი ფეხით მივედი. 10 დღეზე მეტია, დავდივარ თბილისში კონსულტაციებზე. მე ვთხოვე, ამ 50 ათასი ლარის ფარგლებში მინდა, რომ შევწირო. მირიანი აგვარებდა ყველაფერს. სალომე ზურაბიშვილის კამპანია მე დავაფინანსე ბანერებით,“ — განუცხადა „რ-2-ს“ წინანდლის ღვინის ქარხნის მფლობელმა ალექსანდრე მეგუთნიშვილმა.

ბანერების საკითხით დაინტერესდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ამბობენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, ვისი დაფინანსებით არის გაკეთებული ბილბორდები „არა ნაცებს! არა ბოროტებას!“. მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო შტაბში აცხადებენ, რომ ბილბორდები მათი დაკვეთით არ გაკეთებულა. ბილბორდებთან დაკავშირებით კომენტარი 18 ნოემბერს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემაც გააკეთა:

„დიდი სიამოვნებით გააკეთებდა იგივეს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, აქაც არაა პრობლემა, არ გეგონოთ, რომ ვინმე თავს არიდებს მსგავსი ანტირეკლამის გაკეთებას. ამ შემთვევაში დაგვასწრეს და მსგავსი ბილბორდები გამოაკრეს კონკრეტულმა პირებმა“, — თქვა მამუკა მდინარაძემ.

მეგუთნიშვილი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების“ შემომწირველიც იყო. მაშინ მან მმართველ გუნდს 60 ათასი ლარი გადაურიცხა. ამჟამად კი ბანერებისთვის თითქმის 52 ათასი ლარი გაიღო.

„ნაციონალები“ ჩვენს ჯარისკაცებს აშინებენ, თითქოს მათ ჰააგის ტრიბუნალი ელით, მაგრამ ასეთი ფაქტები აგვისტოს ომის დროს რომელიმე ჩვენი ჯარისკაცის მიერ ჩადენილი რომ ყოფილიყო, რუსეთი აქამდე თავს წაგვჭამდა, ეს გამომზეურებული იქნებოდა და ყველას გვეცოდინებოდა, ვერავინ დამალავდა ამას“, — აცხადებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.

აგვისტოს ომის დროს სააკაშვილსაც ვებრძოდით და რუსეთსაც, რადგან ერთ საქმეს აკეთებდნენ

— არ ვიცი, რა იქნება ამ არჩევნების შემდგომ, მაგრამ ბანაკებად რომ დავიყოთ და ეს განწყობა გადაედოს ჯარს, ასეთი პროცესები რითი თავდება ხოლმე, ყველამ კარგად ვიცით. ღმერთმა დაგვიფაროს ამის განმეორებისგან, ვინც ასეთ რამეს აკეთებს, მას პასუხი უნდა მოეთხოვოს. ჩვენს სამართალში პასუხისმგებლობა არ არის ამისთვის გათვალისწინებული, რადგან ის ადამიანები არ არიან მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები და მათ კანონი არ უკრძალავს პოლიტიკაში ჩარევას, მაგრამ, როცა ეს კეთდება ფორმიანი ადამიანების სახელით ზაზა დამენიას საფლავზე და ამ მიმართვის ობიექტი რეალურად არის ჯარი, სწორედ ჯარს მოუწოდებენ გათიშვისკენ, დაყოფისკენ, ეს ძალიან საშიშია.

ეს უშუალოდ ამ ხელისუფლებისთვის არ არის საშიში, რადგან ხელისუფლება ვიღას აინტერესებს, თუ იქამდე მივედით, რომ ჯარი შუაზე გაიყო და ერთმანეთს ასეთი ბრალდებები წაუყენეს იარაღიანმა ხალხმა, დაიწყეს ერთმანეთის ლანძღვა-გინება.

— ეს ნიშნავს სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების მცდელობას და 90-იან წლებში დაბრუნებას?

— იმიტომ არის ჯარი დეპოლიტიზირებული, რომ პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს. ამაში სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების მცდელობას ნამდვილად ვხედავ. სამხედრო შეიარაღებულ ძალებში ეს კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. **„ნაციონალები“ პირდაპირ აღვივებენ სალომეფობიას, მარტო სალომეს არა, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ფობიას აღვივებენ. ეს არის პირდაპირი ზიზღის, შეურიგებლობის ქადაგება და ამას ახდენენ იმ ადამიანების მეშვეობით, ვისაც ხელში იარაღი უჭირავს და ვინც უნდა ემსახურებოდეს საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვას.**

— თქვენ აცხადებთ, რომ სახელმწიფოს ამის აღსაკვეთად ბერკეტები არ აქვს, მაშინ როგორ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ასეთი განწყობა დომინოს პრინციპით არ გადაედოს ჯარსაც, სადაც ყოფილ სამხედროსაც აქვს თავისი წონა და, საერთოდ, ყოფილი მეომრის ცნებაც არ არსებობს. მეომარი ხომ ყოველთვის მეომარია.

— კანონში არანაირი ნორმა არ არის, რაც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს მსგავს რამეს აუკრძალავს, მაგრამ აქ უნდა ჩანდეს სამოქალაქო საზოგადოების, სამოქალაქო აქტივისტების პოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება, მათი პოზიცია უნდა იყოს ძალიან მკაფიო და მათ უნდა დაგმონ ასეთი მოქმედება. „რუსთავი 2“-ის პოზიცია გასაგებია, ის პირდაპირ მიმართულია, ძირი გამოუთხაროს ხელისუფლებას, არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას.

— თუ ფლობთ ინფორმაციას, რეალურად რა განწყობაა ჯარში?

— არა მგონია, რადიკალურად გამოხატულ ასეთ პოზიციას ვინმე იზიარებდეს. აგვისტოს ომთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ უკავშირდება საქართველოს ინტერესებს, იქიდან გამომდინარე, რომ აბსოლუტურად ყველა, ვინც პირდაპირ არ არის რუსეთის აგენტი, ვთანხმდებით, რომ რუსეთმა განახორციელა სამხედრო აგრესია, მოახდინა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, წაგვგლიჯა ტერიტორიები. რაც არ უნდა ჩაედინა მიხეილ სააკაშვილს და როგორი მძიმე დანაშაულიც არ უნდა ყოფილიყო 7 აგვისტოს სამხედრო ოპერაციის წამოწყება (რასაც გარდაუვლად მოყვებოდა რუსეთის სამხედრო შემოჭრა, რაც მან ძალიან კარგად იცოდა), ბუნებრივია, ეს რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს. უბრალოდ, ახლა ასეთი ვითარებაა: თუ სააკაშვილი ტყუის, მაშასადამე, რუსეთია მართალი, ან პირიქით, თუ რუსეთი მართალია, მაშინ სააკაშვილი ცრუობს. სწორედ ეს არის სამართლებრივი უვიცობა, სიბნელე და ვინც ასე ფიქრობს და ასეთ ლოგიკას გვთავაზობს, ის თვალს იბრმავებს. **უბედურება ის არის, რომ იმ პერიოდში, ანუ აგვისტოს ომის დროს, ერთდროულად სააკაშვილსაც ვებრძოდით და რუსეთსაც, რადგან ისინი ერთ საქმეს აკეთებდნენ.**

ჯარში ეს კარგად ესმით, გენერლების კლუბს დასკვნა მომზადებული აქვს, თუ რამდენად სამარცხვინო იყო აგვისტოს ომში კონკრეტული პირების საქციელი. **ჰააგაში კონკრეტულად ამ ომის სამხედრო ასპექტს იძიებენ და ეს არ ნიშნავს, რომ ჯარისკაცებს, ან სამხედრო მოსამსახურეებს, ვინც სისხლი დაღვარა და თავი გაწირა ამ ომში, რაიმე დაემუქროს.** უცნაურ ინტერპრეტაციას აკეთებენ, თითქოს მათ ჰააგის ტრიბუნალზე გაიყვანენ და დაიჭერენ. ეს აბსურდია.

— მაგრამ კონკრეტული სამხედრო დანაშაულებისთვის სამხედროების გასამართლება თეა წულუკიანმაც არ გამორიცხა.

— არ გამორიცხა იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება საერთაშორისო კონვენციების დარღვევა და დანაშაულის ჩადენა. აქ საუბარია ისეთ დანაშაულზე, რომელიც ომის კანონებითაც კი დასჯადია, ანუ არაადამიანური მოპყრობა, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ასეთი ფაქტი აგვისტოს ომის დროს რომელიმე ჩვენი ჯარისკაცის მიერ ჩადენილი რომ ყოფილიყო, რუსეთი აქამდე თავს წაგვჭამდა, ეს გამომზეურებული იქნებოდა და ყველას გვეცოდინებოდა, ვერავინ დამალავდა ამას. მე ასეთი რამ არც გამიგია, არც წამიკითხავს და არც ეჭვი მაქვს, რომ ასეთი რამ რომელიმე ჩვენმა ჯარისკაცმა ჩაიდინა.

რასაკვირველია, საუბრობენ კასეტური ბომბების გამოყენებაზე, რაც, სხვათა შორის, „ნაციონალებმა“ თავადვე აღიარეს, ევროსაბჭოს ცნობილ 1633-ე რეზოლუციაში, რომელსაც მხარი დაუჭირეს, მაგრამ ამას დადასტურება სჭირდება. კონკრეტული ფაქტები არც ვიცი, რომ ეს მართლა მოხდა და ქართულმა მხარემ კასეტური ბომბები გამოიყენა. ამაზე შეიძლება, ვინმეს პასუხი მოეთხოვოს.

— ალბათ, აქ სამხედრო ხელმძღვანელობასა და პოლიტიკოსებამდე მიდის საქმე და არა უბრალო სამხედროებამდე?

— ეს არ ვიცი, ეს უკვე ძალიან სერიოზული ბრალდება იქნება, თუ სააკაშვილს დაბრალდება. ამაზე გამოძიება არც მიმდინარეობს. ანუ ვინ დაიწყო ომი, **რასაც ახლა სალომეს ედავებიან, ამ საკითხის შესახებ საერთოდ არ მიმდინარეობს მსჯელობა ჰააგის ტრიბუნალზე, არც საერთაშორისო მართლმსაჯულების გაეროს სასამართლოში. დავა აბსოლუტურად სხვა რამეს ეხება, ის, რასაც ჰააგა იძიებს, ეს არის ომის დანაშაულები, დაახლოებით ის ფაქტი, რომ გორში თურმე ჩამოვარდა ისკანდერი, რომლის გამოყენებაც ძალიან მძიმე დანაშაულია ომის დროსაც კი. ასეთი იარაღის გამოყენება, რომელიც კასეტური ბომბებითაა დატენილი,** ცხადია, მძიმე დანაშაულია. გახსოვთ, ალბათ, იმ პერიოდში ჰოლანდიელი ჟურნალისტიც დაიღუპა, ადამიანები დაიჭრნენ.

მთელი უბედურება იყო, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში ჩამოვარდა კასეტური ბომბი. თანაც, არავითარი სამხედრო მიზნით ეს არ ყოფილა გამოყენებული, ეს დანაშაული იყო. სწორედ ამ ტიპის საქმეებს იძიებს ჰააგა. გარდა ამისა, აქ არის მხეცობის, ვანდალიზმის ფაქტები ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. არის უამრავი მკვლელობა, რასაც მშვიდობიანი მოქალაქეები შეეწირნენ, გაუპატიურების, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, ჩვენი ჯარისკაცების წამების ფაქტები, გიორგი ანწუხელიძის მაგალითი და სხვა.

საქართველომ დაიწყო ომი თუ რუსეთმა, ეს უკვე შეფასებულია. ჩვენი შიდა სასამართლო თუ მიღებს გადაწყვეტილებას და საკაშვილს ვინმე ბრალს წაუყენებს სახელმწიფო ღალატში, ეს უკვე საქართველოს იურისდიქციის გადასაწყვეტი იქნება და არა ჰააგის იურისდიქციის გადასაწყვეტი. ცხადია, ვერც დადასტურდება და არც დადასტურდება, რომ იმ მასშტაბის არაადამიანურობა იყო აგვისტოს ომის დროს ჩადენილი, რაც ვთქვათ, ჰიტლერმა ჩაიდინა თავის დროზე. ამაზე არც მიმდინარეობს მსჯელობა.

საინტერესოა, რატომ უკავშირებენ ჰააგის სასამართლოს სალომე ზურაბიშვილის განცხადებებს, ესეც პოლიტიკური მიზნით კეთდება, ანუ ერთადერთი მიზნით, რომ სალომე ზურაბიშვილისთვის მიწებებული მოღალატის იარლიყი როგორმე გაამართლონ. მერე ეს განწყობა გადაიტანონ ჯარში და დაპირისპირება გამოიწვიონ საზოგადოებაში. ეს არის მათი მიზანი — ხალხის გაბოროტება, ერთმანეთის გადაკიდება, სწორედ ამით აღწევენ მიზანს.

— თქვენ მიიჩნევთ, რომ ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლი აქტიური უნდა იყოს, რათა სამოქალაქო დაპირისპირება არ დავუშვათ, მაგრამ, როგორც წესი, არასამთავრობოები ასეთ სენსიტიურ თემებს არ იმჩნევენ.

— სამოქალაქო საზოგადოების როლი სწორედ ეს არის, რომ ადეკვატურად დაინახონ პროცესები. ირაკლი კობახიძემ რომ მიმართა მათ, ფაშისტები ხომ არა ხართო, როცა გვარამიას განცხადებას გამოეხმაურა, ახლაც იგივე ხდება. ავტორიტეტულმა, საერთაშორისოდ მხარდაჭერილმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორიცაა, მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, ან „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ვისაც თავი მოაქვს, რომ სამოქალაქო აქტივისტები არიან, როგორ შეიძლება ასეთი საშიში განცხადებები, რასაც ყოფილი სამხედროები აკეთებენ, რეაქციის გარეშე დატოვონ? ამიტომ ვამბობ, რომ ამ ეტაპზევე, სანამ საქმე გართულდება, უნდა გამოვიდნენ ავტორიტეტული ადამიანები, მათ შორის, ყოფილი სამხედროები და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვან.

სხვათა შორის, ამის რამდენიმე მცდელობა იყო. **სამხედრო ფორმიანი ადამიანი არ შეიძლება აკეთებდეს ასეთი ტიპის განცხადებას. თანაც, ამას აკეთებდეს შეიარაღებული ძალების სახელით. ისინი თავიანთ პირად აზრს ხომ არ ამბობენ? ისინი ისე წარმოაჩენენ ვითარებას, თითქოს ეს არის ქართველი ვეტერანების, ან ქართული მოქმედი ჯარის პოზიცია, რაც აბსურდია. მივიჩნევ, რომ დისციპლინარულ დევნას უნდა დაექვემდებაროს ასეთი განცხადებისთვის ყველა სამხედრო პირი, ვინც ამას გაბედავს.**

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

100 სტუდენტი აჭარიდან ჩინეთში გაემგზავრება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარის მთავრობისა და საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის ორგანიზებით, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობის მიზნით ბათუმის უნივერსიტეტში მყოფ ჩინეთის დელეგაციის წევრებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შეხვდა. მხარეებმა თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტები და გაცვლითი პროგრამები განიხილეს.

აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებიდან ჩანგშას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სასწავლებლად 100 სტუდენტის გამგზავრება დაიგეგმა. „მემორანდუმის ფარგლებში, ბათუმის უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტი, მათ შორის მაღალმთიანი აჭარიდან, ჩინეთის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაერთვება. ჩანგშას ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი გამოცდილება ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ჩვენს რეგიონს და ქვეყანას სჭირდება“ — აღნიშნა აჭარის მთავრობის მეთაურმა.

პოლიტიკური პროსტიტუცია და ღალატის ფასი

ბოლო ათი წლის განმავლობაში მთელი საქართველო ერთხმად გაიძახოდა – სააკაშვილი და მისი ხელისუფლება უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, როგორც სამშობლოს მოღალატეები, რუსეთისთვის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მიზნობრივი გადაცემისთვისო... და რა ხდება, რა შეიცვალა დღეს, როცა სალომე ზურაბიშვილმა სცადა დაეკონკრეტებინა, თუ რაში გამოიხატებოდა ეს ღალატი?

შავი პიარის და თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა გრძელდება და ამ საქმეში მთელი ქვეყნის „ბნელეთის მოციქულები“ საოცარ ერთსულოვნებას ავლენენ. ზოგი პროცესი მართვადია, ზოგიც – სტიქიური, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად ორგანულია ნეგატივზე მომართული მანქანის თითოეული ჭანჭიკისთვის, რომ „ჰარმონიის“ მიღწევა ყოველთვის ხერხდება.

ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე, კვლავინდებურად ორი პოლიტიკური სუბიექტი იკვეთება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესების გამოხატვას თითქოს მარტივად უნდა ერქმეოდეს ხოლმე თავისი სახელი, რადგან საზოგადოების მენტალური გახლეჩის, ან უფრო ზუსტად – საოქალაქო „ზნეობრივი ომის“ პირობებში ნეიტრალურები, უბრალოდ, არ არსებობენ, მაგრამ...

სიტყვა „თითქოს“, რასაკვირველია, შემთხვევით არ ჩამისვამს წინადადების გულში. სახელის დარქმევას, ხშირ შემთხვევაში, ხელს ერთი გარემოება უშლის: არსებობს საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც შინაგანად არ არის „ნაცების“ მომხრე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო (პირადი ინტერესი, სნობური თავმოყვარეობა, პოლიტიკური სიბეცე და სხვა.., ან უბრალოდ – შური და ბოღმა), სწორედ „ნაცების“ საქმეს აკეთებს.

არის კიდევ ერთი, არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფი (ე.წ. ერთკაციანი პარტიები, გრანტიანი „ენჯეოები“, „ექსპერტები“, პრონაცურ მედიაში გადანაწილებული „ჟურნალისტების“ მთელი არმია და სხვ.) რომლისთვისაც „იქ დგომას“ გარკვეული სარგებელი მოაქვს და წინა აბზაცში ჩამოთვლილი სუბიექტებისგან განსხვავებით, შეგნებულად მავნებლობენ, ანუ ჩვეულებრივ პოლიტიკურ პროსტიტუციასთან გვაქვს საქმე.

„ნეგატივი მოდაშიაო“ – ამაზე საუბრობს ყველა, პოლიტიკური ელიტით დაწყებული და რიგითი „ობივატელით“ დამთავრებული. შეფასების ქვეტექსტში იკითხება ის უზარმაზარი ზიანი, რაც ქვეყნისთვის საზოგადოების განწყობაზე მუდმივ უარყოფით ფსიქოლოგიურ წნეხს მოაქვს.

სამწუხარო რეალობაა, რომ თითქმის ყველა ტელეარხი ნეგატივზეა აწყობილი. შეიქმნა ყალბი სტერეოტიპები, რომ ლანძღვა-გინება უფრო გაყიდვადია, რომ გაკეთებულის არდანახვა და სიკეთის არდაფასება „კარგი ტიპობის“ პირობაა, რომ რაც უფრო „ზევით“ აისვრი ტალახს, მით უფრო მაგარი ბიჭი ხარ.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ პროცესმა თანდათან მასობრივი სახე მიიღო. ყურადღების ცენტრში მოქცევის და მოკლევადიანი სარგებლის მიღების სურვილი ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს უბრალოდ აყრუებს და აბრმავებს და ავიწყებს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ **შეუმდგარი სახელმწიფოს პირობებში პირადი კეთილდღეობა მიუღწეველი ოცნებაა**. მძიმეა ამის აღიარება, მაგრამ ხილული ფაქტია, რომ ქვეყანაში ერთგვარი ჰეროსტრატეს სინდრომი მძვინვარებს.

... ისევ აგვისტოს მოვლენებს დავუბრუნდები და მთელი ქვეყნის ვაშაძე-ბაქრაძეებისთვის, თავის მარგველაშვილ-უსუფაშვილებიანად (და, რასაკვირველია, მათთვისაც, ვინც გულწრფელად განიცდის ამ პოლიტიკური ჭუჭყის შემოტევებს და ფაქტები და არგუმენტები არ ჰყოფნით ფეისბუქჭაობის დუღილის ჩასახშობად), კიდევ ერთხელ გავიხსენებ ძველი ხელისუფლების იმ ყველა დანაშაულებრივ ნაბიჯს, რომლებიც წინ უძღოდა რუსული გეგმის წარმატებით განხორციელებას.

მივყვეთ ქრონოლოგიას და მხოლოდ შიშველი ფაქტებით ვილაპარაკოთ: პროცესი 2004 წლის 6 მაისიდან იღებს დასაბამს. თეთრ ცხენზე მჯდარმა (თუ დასმულმა) სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ბათუმიდან „დააანონსა“, რომ სექტემბერში ცხინვალში შევიდოდა, ხოლო 23 ნოემბრის გიორგობას სოხუმში აღნიშნავდა. ამის შემდეგ დაიწყო (საღი აზრის პოზიციებიდან სრულიად უაზრო) თანამიმდევრულ აქტივობათა სერიალი, რაც მთლიანად 8 აგვისტოს შემზადებას ემსახურებოდა სწორედ იმ დასასრულით, რა შედეგიც მივიღეთ:

პირველი იყო ერგნეთის ბაზრობის, ქართულ-ოსური თანაცხოვრების ერთგვარი ხიდის, გაუქმება, რასაც მოჰყვა (მთელი ზაფხულის განმავლობაში) პროვოკაციათა ჯაჭვი – ავანტიურისტული, უგუნური გამოხდომები, იარაღის ჟღარუნის თანხლებითა და მძიმე შედეგებით. ამ ყველაფერს სამარცხვინო და საბედისწერო ფინალი ჰქონდა: ყველას მწარედ გვახსოვს, ქართულუნიფორმიანი, მუხლებზე დაჩოქილი რამდენიმე ათეული ახალგაზრდა და კვლავ მტრობაში გადაზრდილი, რის ვაივაგლახით აწყობილი ყოფითი კავშირ-ურთიერთობები.

შემდეგ, კოდორის ხეობისთვის (დალის ხეობისთვის) ახალი სახელის – ზემო აფხაზეთის(?) დარქმევა და ცხინვალის რეგიონისთვის (სამაჩაბლოსთვის) ძველი, საბჭოთა პერიოდის სახელისა და, ფაქტობრივად, საბჭოურივე სტატუსის დაბრუნება;

შემდეგ, კოდორის ხეობაში, ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმის, „მონადირის“ გაუქმება და სამთავრობო ნაწილების შეყვანა (უდიდესი პროვოკაცია, საერთაშორისო მანდატით მოქმედი რუსი სამშვიდობოების პირობებში);

შემდეგ იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიაში, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება (დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ანალოგიური არჩევნების პარალელურად). ამ აქტით, ნაცხელისუფლების მიერ, ფაქტობრივად, მოხდა როგორც მის მიერვე აღდგენილი ავტონომიური წარმონაქმნის, ისე დე ფაქტო მოქმედი პრეზიდენტის უფლებების (სტატუსების) „გაპრავება“. ამ ყველაფერს, მუდმივად, ფონად სდევდა ფსევდოაგრესიული რიტორიკა (როგორც წესი, მსგავსი თამაშების ნაწილია და რეალური გეგმის შენიღბვას ემსახურება) როგორც ოსური მხარის, ისე რუსეთის უმაღლესი ხელისუფალის მისამართით.

იმავდროულად, პარალელურ რეჟიმში, ფართოდ ეხსნება კარი რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. ინტერვენცია იმდენად მასშტაბურია, რომ ქართველი ეკონომისტები არ ერიდებიან ისეთი მძაფრი შეფასებების გაკეთებას, როგორიცაა – „საქართველოს ეკონომიკის საკონტროლო პაკეტი რუსეთის სახელმწიფოს ხელშია“. მართლაც, კომენტარი ზედმეტია.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სააკაშვილს გვერდიდან არ მოშორებია ათეული წლების განმავლობაში ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, ამ ქვეყნების სპეცსამსახურების განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი, დღემდე რუსეთის მოქალაქე, თემურ ალასანია. საინტერესოა, რომ მისი როლი ოფიციალურად იყო გამყარებული მრჩევლის სტატუსით და არც ის იყო დამალული, რომ საქართველოს მოქალაქე პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებზე მეტი გავლენით სარგებლობდა პრეზიდენტის კარზე.

(ვიმეორებ, თემურ ალასანია დღესაც რუსეთის ერთგულ მოქალაქედ რჩება და კითხვაც არ უნდა იბადებოდეს, ვის ინტერესებს დაიცავდა რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობების პირობებში.)

ყველაფერი, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, უტყუარი ფაქტებია. მათ ერთობლიობას და მოვლენათა განვითარების ლოგიკას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ **გეგმაზომიერად ხორციელდებოდა აგრესორი სახელმწიფოსთვის ჩვენი ტერიტორიების გადაცემის პოლიტიკა.**

ბუნებრივია, პასუხს მოითხოვს კითხვა – მაშინდელი ხელისუფლებისთვის რა აუცილებლობა, უფრო სწორად, რა იძულება განაპირობებდა ამ მძიმე არჩევანს?

ქართულ პოლიტიკაში პროდასავლური, ან პრორუსული არ არის ღირებულებითი კატეგორიის ცნებები. ისინი აღნიშნავენ ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მზადყოფნას, თავის სამშობლოში ემსახუროს აშშ-ის, ან რუსეთის ინტერესების გატარებას. ქვეყნის ბოლშევიკურ-ნაცისტური მეთოდებით მმართველი სააკაშვილის პროდასავლურობაზე საუბარი დასავლური ფასეულობების (თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატია) შეურაცხყოფაა. სააკაშვილის და მსგავსი მენტალობის წყობის ადამიანებისთვის ყველაფერს პირადი ინტერესი, პირადი ამბიცია განსაზღვრავს. როცა პირადი ინტერესი და ამბიცია წინ უსწრებს სახელმწიფო ინტერესებს, ეს ინტერესი და ამბიცია ავადმყოფურია.

ქვეყნის ბოლშევიკურ-ნაცისტური მეთოდებით მმართველი სააკაშვილის პროდასავლურობაზე საუბარი დასავლური ფასეულობების (თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატია) შეურაცხყოფაა.

ძალაუფლების ხიბლით შეპყრობილი ადამიანი (ადამიანები) ბევრ რამეზეა წამსვლელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლიერი ხელისთვის, რუსული იქნება ეს თუ ამერიკული (ან ორივე ერთად), სურვილის შემთხვევაში, ადვილია მისი (მათი) მართვა.

ამავე კონტექსტში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ფულის თემას. ცნობილია, რომ **საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის ჩვენი პარტნიორების მხრიდან გამოყოფილი იყო რამდენიმე მილიარდი დოლარი. კითხვა ამ თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით აგვისტოს ომამდეც ხშირად ისმოდა, ხოლო სამარცხვინო კაპიტულაციის შემდეგ მან კიდევ უფრო მძაფრი ჟღერადობა შეიძინა. მართლაც, სად იყო ის შეიარაღება და ქართული სარდლობის ის შემართება, რომელსაც „ყველა მტერთან გამკლავება შეუძლია?“ (სააკაშვილის სიტყვებია).**

არახალია, ძველია, რომ ომზე მდიდრდებიან. ისიც არახალია, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“.

იარაღის თემა და მასთან დაკავშირებული მილიარდები შესაბამის უწყებათა კვლევის საგანია. ადვილი შესაძლებელია, რომ მან საერთაშორისო მასშტაბიც შეიძინოს, რადგან, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში წარმოჩნდება ხოლმე ე.წ. ტრანსეკონომიკური ინტერესები უარყოფით კონტექსტში. შეხსენებისთვის, აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთხელ ღიად გაიჟღერა თემურ ალასანიას სახელმაც (მხედველობაში მაქვს **ირაკლი კაკაბაძის** უაღრესად საყურადღებო, მამხილებელი პუბლიცისტური წერილები).“

„აუცილებლად შესასწავლია ომის შემდგომი პერიოდის მოვლენათა განვითარებაც. ავადსახსენებელი აგვისტოდან გარკვეული დროის შემდეგ მოვისმინეთ აშშ-ის მაღალი პასუხისმგებლობის პირების – კონდოლიზა რაისის, ჯონ ტეფტის, რიჩარდ მაილსის, ჯონ მაკკეინისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეთიუ ბრაიზას – „გულისშემძვრელი აღსარებები“, თუ როგორი უმართავი (ყველაზე რბილი შეფასებით) გახდა „მიშა აგვისტოს წინა პერიოდში.“

საუკუნეების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს და მაინც, პირვანდელი ჟღერადობით გაისმის კითხვა: რატომ არ ხდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება? მითუმეტეს, როცა საქმის ნახევარზე მეტი უკვე გაკეთებულია ჩვენი პარტნიორების მიერ (ტალიავინის კომისიის დასკვნა მაძვს მხედველობაში). ნაცვლად იმისა, რომ მრავალ დანაშაულში უკვე მხილებული რეჟიმი „კედელთან ჰყავდეს მიყენებული“, ხელისუფლება თვითონ იყენებს თავს თავის მართლების რეჟიმში.

2008 წლის აგვისტოს ე.წ. მოვლენებიდან ათი წელი გავიდა, ძიების საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. არც პოლიტიკური შეფასება გაკეთებულა, რომ სამართალმა ნაწილობრივ მაინც იზეიმოს. ის, რომ საერთაშორისო ინსტიტუციამ მიიღო გამოძიების ჩატარების გადაწყვეტილება და ამისთვის პასუხისმგებელი პირიც შეარჩია (პროკურორი ფატუ ბენსუდა), ოდნავადაც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. უბრალოდ, არ მჯერა, რომ გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, თუ საქართველოს ხელისუფლება პარალელურ რეჟიმში არ იმუშავებს იმავე მიმართულებით.

აგვისტოს შემზადებაში თავისი მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა „ნაცების“ დღევანდელ საპრეზიდენტო კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც სააკაშვილთან ერთად ბოლო წუთებამდე მთელ მსოფლიოს არწმუნებდა, რომ „რუსები კარგად იქცევიან“. გრიგოლ ვაშაძე, თავისი „შეგნებული ცხოვრების“ უდიდესი ნაწილი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბირთვული შეიარაღების დეპარტამენტის თანამშრომელი, ანუ „მაღალი ნდობის“ პირი იყო.

ერთი სიტყვით, საკმაო საფუძველი არსებობს იმ ვარაუდისთვის, რომ სააკაშვილმა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანამიმდევრულად შეასრულა რუსეთის ხელისუფლების ყველა დავალება, რასაც, მეტი გარანტიისთვის, პუტინის შტაბის დავალებითვე, მუდმივ კონტროლს უწევდნენ თემურ ალასანია, გრიგოლ ვაშაძე და კახა ბენდუქიძე, რომელიც, თავის მხრივ, გეგმის ეკონომიკურ ნაწილზე იყო პასუხისმგებელი.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო გამოძიება საქმის ამ და მსგავს ასპექტებს ყურადღებას არ დაუთმობს და არც უნდა დაუთმოს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების პრეროგატივაა.

მხოლოდ გულუბრყვილო ამომრჩეველზე შეიძლება იყოს გათვლილი ის ყალბი ისტერიკა, რომ ომზე ყველა სიმართლის თქმამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესს. ყალბია პირველ რიგში იმიტომ, რომ რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა სააკაშვილს, ეს რუსეთის, როგორც აგრესორის და ოკუპანტის პასუხისმგებლობას ვერ შეამცირებს და მეორე – ყველამ ყველაფერი ქალბატონი სალომეს გარეშეც კარგად უწყის, ანუ იმაზე მეტს მაინც ვერ იტყვი, რაც არაერთგზის უკვე თქვეს ტალიავინის („გაზპრომის აგენტის“) კომისიამ, ევროსაბჭოს რეზოლუციამ, კონდოლიზა რაისმა, რიჩარდ მაილსმა და სხვ.

ჩემი ღრმა რწმენით, ისინი, ვისაც ჯერ კიდევ არ სურთ, აღიარონ სააკაშვილის პასუხისმგებლობა აგვისტოს ომის შედეგების გამო (თუნდაც ის რად ღირს, რომ ქართული სოფლებიდან არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია), თვითონაც ინაწილებენ ამ პასუხისმგებლობას და მათაც შესაბამისად უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

თუ რა სიმძიმისაა ეს პასუხისმგებლობა და რა ფასად დაუჯდა ის ქვეყანას, ამაზე ომის შედეგები მეტყველებს: ას ორმოცდაათზე მეტი დაკარგული სოფელი; ასეულობით დაღუპული სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე; ასეულობით დანგრეული, გადამწვარი და მიტოვებული სახლი; ათასობით ახალი დევნილი; ასეულობით შეურაცხყოფილი ადამიანი; ძირძველ ქართულ მიწაზე ორი ახალი დე ფაქტო სახელმწიფო, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი რუსული არმიის საჯარისო შენაერთებით დაცული და გამყარებული...

აი, ეს გახლავთ შეულამაზებელი სიმართლე და რეალობა და ყველა პასუხისმგებლიანი მოქალაქის მოვალეობაა, ხელისუფლებას მოსთხოვოს, რომ ფაქტებს და მოვლენებს დროულად დაარქვას თავისი სახელი როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური შეფასების თვალსაზრისით. სხვანაირად, ქვეყანაში გამეფებული მართვადი ქაოსი არ დასრულდება და სახელმწიფოს შენების პროცესი გარდაუვალ ჩიხში მოექცევა, რადგან –

სადაც არ არის სამართლიანობა, არ არის მშვიდობა.

ბიძინა დვალი

თანამდებობა, უფლებები ადამიანს აბოროტებს!

კარგად დავინახოთ დასანახი!

ხალხი თავის სიტყვას ვერ ამბობს ვერასოდეს, მას სხვა ვილაც, „ცნობადი“ სახე ათქმევინებს.

ზურაბ კიკნაძე

ფიქრებმა რომ არ შემჭამონ, ისევ ჩემს საწერ მაგიდას მივუჯექი, იქნებ გავნეიტრალდე იმ ტკივილის გამოხატვით, რაც ძალიან მაწუხებს. და ეს ტკივილი განა მარტო ჩემია?!

არა, რა თქმა უნდა! ვფიქრობ, რომ ამ ტკივილით ბევრი ცხოვრობს ახლა, თუ ამას ცხოვრება ჰქვია, სულ რაღაცის მოლოდინში, სულ შიშში – ვაი, თუ თავზე ჩამოგვანგრიონ აქამდე სიმწრით მოტანილი ჩვენი ქვეყანაო... და ჩამომნგრევლები ვინმე გადამთიელები კი არ არიან, არამედ თავად ჩვენ რომ ვართ, ამაშია დიდი უბედურება!. და ეს – „ჩვენ“ ხალხია, გულგრილი და უპასუხისმგებლო, ვითომ რომ არაფერი ესმით და ვითომ რომ ვერაფერს ვერ ხედავენ. უინტერესოდ აუვლ-ჩაუვლიან ისეთ რამესაც კი, რასაც პირადად მისი მომავლის ავკარგიანობაც შეუძლია განსაზღვროს, ან მიუჯდებიან ტელევიზორს და მშვიდად უცქერენ ორ მტრულ ბანაკად დაპირისპირებულ, ვითომ პოლიტიკოსებს და მათ განერვიულებულ, არცთუ ზრდილობიან, ფარისეველ გულშემატკივრებს, ახლა უცნაურად მეჩვენება და ხშირად მეც დაბეჯითებით მითქვამს – ხალხი ბრძენიაო. არა, ბატონებო. მთლად ასეც ვერ ვიტყვით...ძნელია, ენდო ხალხს თუ მათში მოქალაქეები არ სჭარბობენ. მოქალაქეები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ მხოლოდ სამშობლოს რაობა კი არა, არამედ იციან სახელმწიფოს მნიშვნელობაც, მისი დაცვა და მისი გაძლიერებისთვის ზრუნვა. ყურადღებას აქცევენ ყოველ იმ მოვლენას, რომელმაც შეიძლება სახელმწიფოს (თავისი ქვეყნის) ღირსება შელახოს ან პირიქით. და ცდილობენ, სამართლებრივ ლიანდაგზე გადაიყვანონ ესა თუ ის გაუგებრობა. ასეთ შემთხვევაში მართლაც მოქალაქე ხარ და ქვეყნისთვის და საკუთარი ოჯახისთვისაც საჭირო და სასარგებლო პიროვნება.

მაგრამ სად არიან მოქალაქეები, სად არიან ჩვენი მწერლები, პოეტები, გამოჩენილი პიროვნებები, აკაკი ბაქრაძის, რეზო თაბუკაშვილის, გიგა ლორთქიფანიძის, რევაზ ჩხეიძისა და სხვა მრავალთა მსგავსნი, რომლებიც, აგერ აქამდე, პირუთვნელად ამბობდნენ სათქმელს და აკვალიანებდნენ კიდეც საზოგადოებას... ისინი წავიდნენ, სად არიან დანარჩენები!..

მინდა, დავიტოვო იმედი და ვთქვა, რომ ყველას ერთნაირად არ მოსწონს სამართლის საძიებლად ქუჩაში გამოსული მგლოვიარე პირის უკიდურესად დამძაბავი ქცევები, მთავრობისა და სამართალდამცველთა მისამართით უხამსი და უწმაწური (სკაბრეზული), არგასაგონი სიტყვები, ძალადობა, პოლიციელთა ფეხებით მოგერიება... მთავრობის მოწინააღმდეგეთა შემოკრება... და ეს ყველაფერი ხდება ცხრა აპრილისა და სხვა, საქართველოსთვის ტრაგიკული დღეებით, ქართველი ხალხის სისხლით განწმენდილ და ამაღლებულ ადგილზე. არა, არ ვიცი, ყველას ალბათ არა, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ნამდვილად სიამოვნებთ ყოველივე ეს. განა არ გვესმის, შარშანდელი პირველი დეკემბრის დღის ტრაგიზმი, მთელი საქართველო და მათ შორის მეც ცხარე ცრემლებით ვტიროდით ორი ულამაზესი ყმაწვილის უაზროდ დაღუპულ სიცოცხლეს (იხილეთ ჩემი წერილი – გადამარჩინე! გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 დეკემბერი, 2017 წ. გვ. 4), მათ უბედურებას და არა მარტო მათ. განა ისინიც გაუბედურებულები არ არიან, ვინც ამ უმძიმეს ტრაგედიაში მონაწილეობა მიიღო, ზოგი რომ საპატიმროში ზის ახლა და ზოგიც სახლშია, მაგრამ ორმაგ განსაცდელში ჩავარდნილი? ნაძრახ სიცოცხლეს რომ სიკვდილი სჯობს, ესეც ხომ კარგად იციან მათაც და ვიცით ჩვენც! რა გასაკვირია შვილის სიკვდილით გამწარებული მშობლის განწყობა, მტერს არ ვუსურვებ! მაგრამ... ეჰ, რა ვქნათ, ყველაფერს ახლავს თავისი „მაგრამ“!

აქ სათქმელი ბევრი მაქვს, თუმცა გავიხსენებ ქართველი ხალხისთვის კარგად ცნობილ ხალხურ ლექსს „ ვეფხი და მოყმე,“ ერთადერთი შვილმკვდარი დედა, ვეფხვის დედასთან რომ მიდის სამძიმრის მოსახდელად... „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა. წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა“... აქ ქართველი ადამიანის სულგრძელობაზეა საუბარი და ჩვენ ამით ვამაყობთ! სამწუხაროდ, საამაყო არაფერია სამართლის მაძიებელი შვილმკვდარი მამის ქცევებში, რადგანაც მან თავისი მწუხარება (რომელსაც მთელი საქართველო ვიზიარებთ) გაუთანაბრა ოპოზიციონერთა (ზოგიერთთა!) განწყობას, სულისკვეთებას, იმ ოპოზიციონერთა, რომელთა მიზანი სულ სხვა რამეა, ვიდრე შვილმკვდარი მამისა. შვილმკვდარი მამა შვილის მკვლელის ძიებაშია და მოითხოვს მასზე შესაბამისი კანონის განხორციელებას. ამ დაუღალავი და ენერგიით სავსე ადამიანის გამწარებითა და ჭირით სარგებლობენ ოპოზიციონერ პარტიელთა ერთი ჯგუფი და მათთან მიტმასნილები, რომელთა მიზანი და ინტერესი მთავრობის დამცირება, სახელის გატეხვა და „ტახტიდან“ ჩამოგდებაა! სხვათა შორის, ეს თეზა ადვილად გაითავისა სამართლის მაძიებელმა მამამ!. ისინი ახლა ერთად დგანან, ერთად იღვწიან და უტეხენ სახელს მთავრობას. აი, სწორედ აქ ჩნდება დიდი კითხვის რამდენიმე ნიშანი: გლოვა და თანადგომა, სამძიმარი და დახმარება ჩვენ ქართველებს, ვფიქრობ, რომ არ გვესწავლება. მგლოვიარე ადამიანი სიბრალულთან ერთად სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს, მგლოვიარე კაცის პოლიტიკურ შოუებში მონაწილეობა მიცვალებულის სულს აწუხებს და შეურაცხყოფს. რატომ იქცევა ეს მგლოვიარე მამა ასე? ეს ერთი კითხვა, რომელზედაც პასუხი სხვებთან ერთად მეცა მაქვს – სამართალს ეძებს. შვილის მკვლელი უნდა დაისაჯოს! კი ბატონო, უნდა დაისაჯოს, მაგრამ, განა არ დაისაჯნენ? გადადგა გენერალური პროკურორი, დაპატიმრებულია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ორი მოზარდი, შეიკრიბა საპარლამენტო კომისია, თითქმის ერთი წელია ამ საქმით არის დაკავებული სასამართლო, პროკურატურა, პარლამენტი და მთავრობა. საქმე მაინც კვლავ ძიებაშია. რა ხდება?! ახლა კი ისმის კიდევ უფრო მძაფრი კითხვა: ნუთუ მთავრობას სახელის გატეხვად (მოსალოდნელ გადატრიალებად თუ რევოლუციად!) უღირს იმ ვიღაც, ერთი ადამიანის დაცვა-დაფარვა, რომელსაც გულისხმობს, რომლის დაპატიმრებასაც მოითხოვს მამა? რატომ გაგრძელდა ეს საქმე ასე? ამ გაჭიანურებული ძიებით, კომისიებით და სასამართლოებით ხომ მიდის ის ძვირფასი დრო, რომელიც უნდა მოხმარებოდა სახელმწიფოსა და ხალხზე ზრუნვას... ამასობაში კი ეს იწილობიწილო, ყოველდღიური უზნეობანი და ხულიგნური გამოხტომები, ზურგს უმაგრებენ იმ ადამიანებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკისაგან ძალიან შორს დგანან! და კიდევ უფრო სამწუხაროდ – ლოგიკას ვერც მთავრობაში ვხედავ!

აი, ასეთია ჩვენი დღევანდელობა, წესრიგიდან ამოვარდნილი, აყალმაყალის შორიდან მაყურებელი, გულგრილი ადამიანებითა და, სხვათა შორის, არ შეიძლია ისიც არ ვთქვა, – ივანიშვილის მილიარდეროებით გაბოროტებული, შურიანი და გასამდიდრებლად (ეჰ, სამწუხაროდ ასეა!) პოლიტიკას ადევნებული მასხარებით, რომლებიც თავიანთი თვალთმაქცობით ადვილად ატყუებენ ხალხს.

ძვირფასო მკითხველო, თქვენც კარგად ხედავთ, როგორი რთული დრო დაგვდგომია!.. საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვადგა. არ დავუჯეროთ ცბიერებს და მატყუარებს, ავირჩიოთ ჩვენი რჩეული, ევროპაში გაზრდილი, მრავალჭირგადანახადი ქალბატონი, მერე კი შესაბამისად მოვთხოვოთ მას საქმე, რომელიც პრეზიდენტს ევალება და მოეთხოვება.

გულნარა სტურუა

P. S.

– თუ წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეპოქები განსხვავდება ერთმანეთისგან. იყო ეპოქა, როდესაც ყველაფერს განსაზღვრავდა რელიგია, მედიცინასაც კი. მაგრამ არის ეპოქა, როდესაც გონება მოდის წინ და მეცნიერება იმარჯვებს, მეცნიერება განსაზღვრავს ყველაფერს. დღეს, თითქოს, ორივე ფაქტორი მოქმედებს. მაგრამ არ მართლდება პროგნოზი, რომ, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, რელიგიის გავლენა დაიკლებს და ნულამდე დავა.

– ადამიანის ზნეობის საფუძველი გონებაა თუ გრძნობები?

– ადამიანის ქცევა მისი მთლიანი პიროვნებიდან მოდის. არც მხოლოდ გრძნობიდან, არც მხოლოდ გონებიდან. ადამიანი მთელი თავისი ბუნებით მოქმედებს. აქ მისი წარსული გამოცდილებაც შემოდის. ხან გრძნობა ჭარბობს, ხან გონება. გონება, როგორც აკროპოლისი, ემოციებზე უნდა ბატონობდეს.

ჯერჯერობით, ჩვენთან არაფერი შეცვლილა. ახლა არჩევნების პერიოდია. იქმნება ილუზია, რომ ამ არჩევნებით ხალხმა უნდა თქვას თავისი, სად არის დემოკრატია, დემოსის მმართველობა? ის დემოსიც არ არსებობს, ბერძნული პოლისის ცხოვრებაში რომ მონაწილეობდა.

რა უნდა მოხდეს საზოგადოებაში, რომ პასუხისმგებლობის თემა უფრო აქტუალური გახდეს და დაბალანსდეს უფლებების დაცვა და პასუხისმგებლობის განცდა?

– რა ვიცი, როგორ გითხრათ? ეს საიდან უნდა მოდიოდეს? საზოგადოება თვითონ უნდა ეძებდეს და ამხელდეს უპასუხისმგებლობას. თორემ უფლებები ადამიანს აბოროტებს კიდეც, თავის თავზე არაადეკვატურ წარმოდგენას უქმნის.

გიორგი ქობულიამ ფერმერთა დღე მეწარმეებს ზუგდიდში მიულოცა!

„ჩვენ თქვენ გვერდით ვდგავართ და ერთად ვიმუშაოთ თქვენი მიზნების განხორციელებისთვის, რადგან თქვენი წარმატება ეს ჩვენი წარმატებაა“, – განაცხადა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ ზუგდიდში, ფერმერთა დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, ასეთი დღეები ძალიან გვეხმარება, რომ განვავითაროთ სოფლის მეურნეობის სექტორი და ამისთვის აზრთა გაცვლა-გამოცვლა ძალიან მნიშვნელოვანია.

„მსგავსი ფორუმი საშუალებას გვაძლევს მთავრობას, გავიგოთ, რა გიჭირთ, რაში შეგვიძლია დაგიდგეთ გვერდით. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული და სტრატეგიული მიმართულებაა და ამაში ფერმერების და საფერმერო მეურნეობების როლი წამყვანია. საქართველოში ჩვენ გაგვაჩნია ფერმერობის დიდი ტრადიცია, გვაქვს მთელი რიგი უპირატესობები და შეგვიძლია შევქმნათ ისეთი პროდუქტი, რომელიც მოთხოვნადია არა მარტო ჩვენთან, არამედ უცხოეთის ბაზრებზეც. სოფლის მეურნეობა საშუალებას მოგვცემს, ჩვენი მოსახლეობის ძირითადი მასები, ჩვენი შრომისუნარიანი მოსახლეობა ჩავრთოთ ეკონომიკურ საქმიანობაში, შევქმნათ სამუშაო ადგილები და გავზარდოთ ხალხის საშუალო შემოსავალი“, – აღნიშნა გიორგი ქობულიამ.

ეკონომიკის მინისტრის თქმით, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა მხარდასაჭერად ბევრი პროგრამა ხორციელდება, მაგრამ ბევრად მეტის გაკეთება შეიძლება და ბევრად მეტია გასაკეთებელი.

„მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდ პროგრამას ვგეგმავთ სახელმწიფო მხარდაჭერით. ჩვენ მოგამზადებთ თქვენ და მოვამზადებთ თქვენთვის კადრებსაც, რომელთა მაღალ კვალიფიკაციასაც დაეყრდნობით. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ტექნიკურ სპეციალობებზე, არამედ ყურადღება დაეთმობა ზოგად ტრენინგებს, მარკეტინგს, ფინანსურ აღრიცხვას და ასე შემდეგ“, – აღნიშნა გიორგი ქობულიამ.

ეკონომიკის მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია, ეს დარგი ექსპორტზე ორიენტირებული იყოს.

იწყება „ხელოსნების ქალაქის“ განვითარება

ავეჯის წარმოებაში არსებული გამოწვევები განიხილა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ თბილისში „ხელოსნების ქალაქში“ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ავეჯის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის გამართვამდე გიორგი ქობულიამ ავეჯის მწარმოებელთა კლასტერში არსებული საწარმოები დაათვალიერა და მოისმინა ინფორმაცია „ხელოსნების ქალაქის“ განვითარებისა და სამომავლო პროექტების შესახებ. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ იმ კომპანიების წარმომადგენლებიც, რომლებმაც საჯაროდ, მედიის საშუალებით მოითხოვეს მინისტრთან შეხვედრა და მათ ამის შესაძლებლობა მიეცათ.

გიორგი ქობულიას შეფასებით, ძირითადი დაბრკოლებები, რაც ამ სფეროში არსებობს, არის მუშახელის კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამები. „წარმოებების ხელმძღვანელები, რომლებსაც მე ველაპარაკე, ყველა ერთხმად იმეორებს, რომ გვჭირდება მეტი კვალიფიციური კადრი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვგეგმავთ ძალიან სერიოზულ პროგრამებს, ტრენინგის ცენტრების შექმნას უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, ეს იქნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი მომავალი ორი წლის განმავლობაში მაინც. გვჭირდება, რომ წელიწადში ორი-სამი ათასი სპეციალისტი მოვამზადოთ ამ სექტორში“, — აღნიშნა მინისტრმა.

„ხელოსნების ქალაქი“ თბილისში, ავჭალის დასახლებაში რამდენიმე წლის წინათ დაფუძნდა და დღესდღეობით იქ 200-მდე ორგანიზაცია ოპერირებს. ის აერთიანებს მასალის და ფურნიტურის მომწოდებელ კომპანიებს, დიზაინერთა ასოციაციას, მანქანა-დანადგარებით მომსახურე ფირმებს, სამღებრო საამქროებს და ა.შ. აუცილებელი პირობაა, რომ კლასტერის ტერიტორიაზე დასაქმების მსურველი პირდაპირ ან ირიბ კავშირში იყოს ავეჯის წარმოებასთან. „ხელოსნების ქალაქი“ 80 000 კვ.მ მიწის ფართობზეა გაშენებული და დამფუძნებლების მიერ შემუშავებულია მშენებლობის გენერალური გეგმა კიდევ 40 000 კვ. მ. მიწის ფართობზე. კლასტერში ამ ეტაპზე 1500-მდე ადამიანია დასაქმებული და ეს ციფრი კიდევ გაიზრდება. უახლოეს პერიოდში ტერიტორიაზე იგეგმება იტალიური ავეჯის და კიდევ რამდენიმე ადგილობრივი მსხვილი საწარმოს გახსნაც.

დუმბაძის გამზირის კაპიტალური რეაბილიტაცია დასრულდა

გლდანის რაიონში, მუხიანის დასახლებაში, დუმბაძის გამზირის კაპიტალური რეაბილიტაცია დასრულდა. საგზაო სამუშაოები თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა განახორციელა.

დასრულებულ პროექტს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად გაეცნო. პროექტის ფარგლებში დუმბაძის გამზირზე სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია განხორციელდა, მოეწყო ახალი ბორდიური და ტროტუარი, ხოლო ასფალტის საფარი 17 000 კვ. მეტრ ფართობზე დაიგო. სამუშაოები, რომელზეც დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით, 1 400 000 ლარი დაიხარჯა, შპს „ენ სი სიმ“ აწარმოა. დუმბაძის გამზირზე, დედაქალაქის მერთან ერთად, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გალაქტიონ ბუაძე და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ქეთევან ჯოხაძე იმყოფებოდნენ.

„სოკოლი ჩემი მახვილია, ჩემი თვალი და ლახვარია“



ასე ამბობდა ბერნარდ შოუ

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

სხვადასხვაზე

ცრუ ცოდნა უმეცრებაზე მევრად სახიფათოა.

* * *

ამქვეყნად არცრა ისე შეურაცხმყოფელი არაფერია, როგორც უზადო თავაზიანობა იმ ადამიანთა მიმართ, ვისთანაც მეგობრულ ურთიერთობაში იყავი.

* * *

განვითარება... ქვეცნობიერი პროცესია, რომელიც წამისუმალ წყდება, როგორც კი მასზე ფიქრს იწყებენ.

* * *

ვივარაუდოთ, რომ ქვეყნიერება ღმერთის მხოლოდ ერთ-ერთი ხუმრობაა. განა ამიტომ არა ღირს ამ ერთ-ერთი ცუდი ხუმრობის კარგ ხუმრობად გადაქცევა?

* * *

არნახული თავსხმაა, და ჰაერი ისეა დანესტიანებული, რომ სახლის სახურავი ადამიანური პირობითობისადმი მარტოოდენ ხარკად წარმოსადგენია.

* * *

რასაც წარმატებას ვეძახით, ის სინამდვილეში იმ ადამიანის საზღაურია, რომელიც ნიჭისგან გვერდავლილია.

* * *

სილამაზე სამ დღეში იმაზე არანაკლებ გვბეზრდება, ვიდრე სათნოება.

* * *

იმან არაფერი არ იცის, არადა, ფიქრობს, ყველაფერი ვიციო: იმას პოლიტიკოსად ყოფნა მოსდგამს.

* * *

იდეალური სიყვარული მხოლოდ მიმოწერაშია შესაძლებელი.

* * *

სპორტს არასოდეს, ვიდრე გვიან.

* * *

რევოლუციებს არცროდის ჯერეთ არ შეუმსუბუქებიათ ტირანიის ტვირთი, ერთი ეგ იყო, ის ტვირთი სხვა მხრებზე გადაჰქონდათ.

* * *

რეფორმატორი, რომლისთვისაც ეს ქვეყანა არასაკმარისად კარგია, ბოლოს და ბოლოს, იმ კაცის გვერდით აღმოჩნდება ხოლმე, რომელიც არასაკმარისად კარგი ვინმეა ამ ქვეყნისთვის.

* * *

სასამართლო პროცესის იდეა ის არის, რომ ორ ქოსატყუილას თუ ვაიძულებთ ერთმანეთის მხილებას, მთელი სიმართლე ეგრევე გამოაშკარავდება.

* * *

ტრედ-იუნიონიზმი სოციალიზმი კი არა, პროლეტარიატის კაპიტალიზმია.

* * *

რომელი სურათის გადარჩენას შევეცდებოდი, ეროვნულ გალერეაში ხანძარი რომ გაჩენილიყო? რომელიც გასასვლელთან ახლოს იქნებოდა.

* * *

მარტოსულობა დიდი რამ არის, ოღონდ არა მაშინ, როცა შენ მარტო ხარ.

* * *

მოდა მართული ეპიდემიაა.

* * *

სუყოველ მთვრალ შკიპერს განგების იმედი აქვს, მაგრამ განგება მთვრალ შკიპერთა გემებს ხანისად კბოდე-კლდეებს აჯახებს.

* * *

უმისამართო კაცი საჭვოდ გამოიყურება, ორმისამართიანი — მით უმეტეს.

* * *

რა კარგი იქნებოდა, მშობლებს იმის წარმოდგენა რომ შესძლებოდათ, რარიგ აბეზრებენ თავს თავიანთ შვილებს!

* * *

ინგლისელი ოფიციანტი განკარგულებებს ელოდება, შესრულებით ყველა განკარგულებას ასრულებს, ოღონდ არც ერთს არცროდის აზრს არ აყოლებს: უკეთუ დაკვეთა გადაიფიქრეთ, ის არც გაოცებას და არც უკმაყოფილებას არ გამოხატავს. იტალიელი ოფიციანტი წინასწარ იქმნის სავსებით მკაფიო წარმოდგენას იმის თაობაზე, სად იჯდებით და რას მიირთმევთ, და თუ ახირებულმა მოლოდინი გაუცრუეთ, ადგება და ეგრევე ყელს გამოგჭრით.

* * *

უნდოგლოგა გრიყვის სიბრძნეა.

* * *

სურათი, რომელსაც მნახველთა ათ პროცენტზე უფრო მეტი აქებს, უნდა დაიწვას.

გამონათქვამები ბერნარდ შოუზე

ბერნარდ შოუ გარეგნობით ან უფალ ღმერთს ჩამოჰგავს, ან ფრიად მზაკვარ სატირას, რომელმაც თავისი ათასწლოვანი არსებობის მანძილზე ყოველივე ნამეტანი გუნებრივი დაკარგა.

ვერცროდის ამ კაცს ვერ გაუგებ, პრინციპებს პრინციპის გულისთვის იცავს თუ საკუთარი სიამოვნებისთვის.

კარელ ჩაპეკი

* * *

სუყოველ საეჭვო ვითარებაში ციტატა ჯორჯ ბერნარდ შოუს უნდა მივაწეროთ.

ნაიჯელ როსი

* * *

დიახ, ბერნარდ შოუს ცოლს ნამდვილად შეეძლო ყურისგდება. მე შენ გეტყვი, ამ მხრივ პრაქტიკა აკლდა!

ჯონ პრისტლი

* * *

ზოგიერთნი, ალბათ, ცინიკოსს დაარქმევდნენ; სინამდვილეში იგი წმინდა წყლის იდეალისტი იყო.

ბეატრის უები

* * *

შეიძლება, რომ სხვადასხვაგვარად არ გვიყვარდეს შოუ. შეიძლება, რომ არ გვიყვარდეს მაგისი პიესები, ანდა გვიყვარდეს მაგისი რომანები. ჩინებული ადამიანია. მაგას არც მტრები ჰყვანან და არც რომელსამე უყვარს თავის მეგობართაგან.

ოსპარ უაილდი

* * *

პაკისტანელსავით წერდა, რომელმა პაკისტანელმაც ინგლისური თორმეტი წლისამ შეისწავლა, რათა საზოგადოებრივი ბუღალტერი გამხდარიყო.

ჯონ ოსბორნი

* * *

მაგას იმაზე მეტი ტვინი აქვს, ვიდრე საჭირო.

ლევ ტოლსტოი

* * *

შოუმ თვითონ აღმოაჩინა თავისი თავი და გულუხვად გაუზიარა მთელ ქვეყნიერებას ეს აღმოჩენა.

ჰექტორ ჰიუ მანრო

დასასრული. დასაწყისი იხ. №225-234



აფხაზი ოპოზიციონერი, დე ფაქტო ექსპრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი (2005-2014 წ.წ.) კრისტიან ბჟანია გამოცემა „newscaucasus.com"-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში ქართულად ალაპარაკდა. საუბრის თემას ოკუპირებულ რეგიონში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება, მოსკოვსა და სოხუმს შორის კავშირები, აფხაზური ოპოზიციის უკმაყოფილებისა და დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას გადადგომის მოთხოვნის მიზეზები, ასევე საქართველოს სამთავრობო პროგრამის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" მიმართ აფხაზური საზოგადოების დამოკიდებულება წარმოადგენდა.

„აქცენტი" ამ ინტერვიუდან მთავარი ამონარიდების ქართულ თარგმანს გვთავაზობს:

რატომ ალაპარაკდა და რა თქვა აფხაზმა ოპოზიციონერმა ქართულად?!

— აფხაზურ მედიაში ხშირად წერენ ოპოზიციის მხრიდან „შეტევის" მზადებაზე"... თქვენი შეფასებით, ძალუძს თუ არა ამჟამინდელ ოპოზიციას რაულ ხაჯიმბას გადაყენება და, ზოგადად, რამდენად შესაძლებელია დღეს აფხაზეთში რევოლუცია?

— „რევოლუციის" შესახებ მედია საუბრობს და არა ოპოზიცია. ეს უკანასკნელი ან პრეზიდენტის ვადამდელ გადადგომას, ან მის მიერ ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მოითხოვს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სადღეისოდ რევოლუცია შეუძლებელია ორი მიზეზის გამო: პირველი — კონსოლიდირებული ოპოზიციისა და მისი იმგვარი ლიდერის არარსებობა, რომელიც თავის თავზე მსგავს პასუხისმგებლობას აიღებდა; მეორე — თავად ელექტორატის გადაღლა რყევებით და გადატრიალებების მიუღებლობა. იმან, რაც 2014 წელს მოხდა (პოლიტიკური კრიზისი აფხაზეთში, რომლის შედეგად ალექსანდრე ანქვაბი გადადგა — რედ.), მძიმე ჭრილობა მიაყენა საზოგადოებას. მას ვითარების ამ გზით შეცვლა აღარ სურს.

— მთლიანობაში როგორ აფასებთ მოსკოვის გავლენას აფხაზეთში ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე?

— მე ვხედავ, მაგალითად, რომ შსს სისტემაში ძველ, ეროვნულ კადრებს ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ახლებით ცვლიან. არ მესმის, რაში მდგომარეობს ამის აუცილებლობა, საბოლოო მიზანი და არის თუ არა ეს გარკვეული მწყობრი ტაქტიკა.

შემიძლია, მხოლოდ გიამბოთ, როგორ ხდებოდა ადრე. მაშინ ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც აფხაზეთის შიდა პოლიტიკას უკავშირდებოდა, აფხაზური ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად იღებდა. მოსკოვს მხოლოდ საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას უთანხმებდნენ, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ საკითხებს, რომლებიც რუსული სახსრებით ფინანსდებოდა. აფხაზური მთავრობა საკმარისად დამოუკიდებელი იყო და რუსეთთან თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემის ფარგლებში ხორციელდებოდა.

— ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო თემა აფხაზეთში მიწის საკითხია. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ უცხოელებისთვის მიწისა და უძრავი ქონების მიყიდვის ნების დამრთველი კანონის მიღება (რასაც დაჟინებით მოითხოვს რუსეთი — რედ.)?

— აფხაზეთში არ არიან პოლიტიკური თვითმკვლელები, რომელთათვისაც დასაშვები იქნებოდა მიწის გაყიდვის დაშვების შესაძლებლობის განხილვა. ეს თემა ყველასთვის დახურულია. აქ მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: მიწა აფხაზეთში ყიდვა-გაყიდვის საგანი ვერ იქნება. ეს აკრძალულია არა მხოლოდ უცხოელებისთვის, არამედ თავად აფხაზეთის მოქალაქეებისთვისაც. მიზეზები ყველასთვის დიდი ხანია, ცნობილია.

რაც შეეხება უძრავი ქონების გაყიდვას, ეს სადისკუსიო საკითხია.

— „ერთიანი აფხაზეთის" ლიდერმა სერგეი შამბამ ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა: „თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, მოგვიწევს, მუხლზე დაჩოქილები შევვედროთ საქართველოს ან რუსეთს, თავის შემადგენლობაში მიგვიღონო". მართლაც ასე რთულადაა საქმე აფხაზეთში?

— ეს ფრაზა „ერთიანი აფხაზეთის" ლიდერის მთლიანი გამოსვლის კონტექსტიდანაა ამოღებული. მანამდე სერგეი შამბა აღწერდა კრიზისს, რომელიც აფხაზეთში ჩამოყალიბდა — სოციალურ-ეკონომიკურ, მმართველობით, რეფორმების არარსებობას და ა. შ., პასუხისმგებლობას მოქმედ ხელისუფლებას აკისრებდა. მან თქვა, რომ თუ ვითარებას არ გამოასწორებენ, ის კიდევ უფრო დამძიმდება და საქმე იქამდე შეიძლება, მივიდეს, რაც ამის შემდეგ თქვა.

დარწმუნებული ვარ, აფხაზეთი რომ მხოლოდ საქართველოთი, რუსეთით და შავი ზღვით არ იყოს გარშემორტყმული, შამბა ამ რიგში სხვა ქვეყნებსაც დასახელებდა, მეზობლები რომ ყოფილიყვნენ. მე მის ამ გამონათქვამს ფიგურალურად მივიჩნევ. არა მგონია, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ამჟამად აფხაზების მოხიბვლა შეძლოს. თქვენც ხომ არცთუ სახარბიელო მმართველობითი სისტემა გაქვთ.

ჩვენ დიდი ბიჭები ვართ და, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ვიღაცას აფხაზეთში შესაძლოა, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება სურდეს. მაგალითად, გალის რაიონის მცხოვრებლებს, ეთნიკურ ქართველებს. რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს შესაძლოა, რუსეთთან შერწყმა სურდეს თავისი გარკვეული მოსაზრებების გამო. თუმცა არსებობს მოქალაქეთა სხვა ნაწილი, გადამწყვეტი უმრავლესობა, რომლისთვისაც თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლი უმთავრესია. ეს გენეტიკურ დონეზეა.

— რა დამოკიდებულება აქვთ აფხაზეთში ქართული პროგრამის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" მიმართ?

— დიდწილად არანაირი. მის შესახებ დეტალურად არაფერია ცნობილი, გარდა განზრახვათა დეკლარირებისა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა მსგავსი ინიციატივა საქართველოს შიდა მოხმარებაზე და ევროკავშირის წინაშე აფხაზებისადმი კეთილგანწყობის დემონსტრირებაზეა გათვლილი. ხან ერთი მთავრობა გააკეთებს განცხადებას რაღაც გეგმების შესახებ, მერე მეორე მოდის და თავის სტრატეგიას დეკლარირებს...

რას ეყრდნობა აფხაზური საზოგადოება თავის შეფასებებში? — პრაქტიკას, საქმის რეალურ მდგომარეობას. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს უკლებლივ ყველა მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს, არ დაუშვას აფხაზი ბავშვები, სპორტსმენები, სახელოვნებო კოლექტივები არც ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება რეგულარულად გამარჯვებულის ტონით ამცნობს ქვეყნის მოქალაქეებს, როგორ მოახერხა ევროპაში გამართულ ამა თუ იმ გამოფენაში ან სპორტულ ღონისძიებაში აფხაზების მონაწილეობის ჩაშლა. თითქოს საქართველოს დიპლომატიურ უწყებას მხოლოდ ორი ამოცანა ჰქონდეს — ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება და აფხაზების ევროპაში არდაშვება.

მაგრამ, პატივცემულებო, გარეთ XXI საუკუნის მეორე ათწლეულია. რა თქმა უნდა, შეიძლება, ცვალებადი წარმატებით უწევდე რაღაცას წინააღმდეგობას, თუმცა ყველა გასასვლელის ამოქოლვა შეუძლებელია. სირთულეები სხვადასხვა გამოსავლის ძიებას გასწავლის და ისინი გეხმარება — რა თქმა უნდა, არა ყოველთვის, მაგრამ საკმაოდ ხშირად.

თუ საქართველოში გადაწყვეტილი აქვთ, ამ გზით შეცვალონ აფხაზების დამოკიდებულება, ვიტყვი, რომ დიახ, ეს გამოუვიდათ. სადღეისოდ, სხვადასხვა მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის დაახლოებით 90%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული.

ეჭვი მეპარება, ეს მიზანი იყოს ჩადებული ქართულ პროგრამაში „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" და მის ანალოგებში. არადა, სწორედ მსგავს შედეგთან მივყავართ ამგვარ „სტრატეგიებს".

* * *

— როგორ გესახებათ აფხაზეთისა და საქართველოს მომავალი იდეალში?

— ალბათ, არავის სურს ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრება მჭიდრო მეზობლობაში მუდმივ მტრობასთან, წარმატებული განვითარებისთვის საჭირო რესურსების ხარჯვა სავარაუდო ომისთვის მზადებაზე (მათ შორის — არც საქართველოში). ეს სახსრები შეიძლებოდა, დახარჯულიყო საქართველოს მილიონობით მოქალაქისა და აფხაზეთის ათასობით მოქალაქის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე, მომავალი თაობების მშვიდი, ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაზე, თანამედროვე მსოფლიოს საშიშ გამოწვევებზე საპასუხოდ.

დრო გვეცლება, როგორც ქვიშა თითებს შუა და ქართული პოლიტიკის სუბიექტების მიერ საბოლოო მშვიდობიანი დარეგულირების პასუხისმგებლობიანი სტრატეგიის არქონა ამ პრობლემის მოგვარებას სულ უფრო გვაშორებს.

ქართველი ერი თავს ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, მისი ღირებულებების მატარებლად მიიჩნევს. ვსვამ კითხვას: როგორ მოხდა, რომ ამ თანამედროვე, განათლებულმა, ძალზე მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მქონე საზოგადოებამ დღემდე ვერ შობა იმგვარი პოლიტიკური ელიტა, რომელიც დაძლევდა შიდა კონიუნქტურას, მცდარ იდეებს, მიიღებდა რეალობას და, უდავოდ, რთულ გადაწყვეტილებებს?

მსგავსი გადაწყვეტილებები არა მარტო რთულია, არამედ ალბათ, ძალზე მტკივნეულიც. თუმცა ბევრად უარესია, გამიზნულად ამყოფებდე საკუთარ თავს ილუზიების ტყვეობაში — ეს დანაშაულია საკუთარი საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე; დანაშაული დაპირებებით მოტყუებული, ცხოვრებადანგრეული, გაურკვეველი მომავლის მქონე ხალხის მიმართ. რამდენ ხანს შეიძლება, ეუბნებოდე საკუთარ თანამემამულეებს, „ჩვენი სამშვიდობო ინიციატივებით აფხაზებსა და აფხაზეთს დავიბრუნებთო და ყველაფერს ზუსტად საპირისპიროდ აკეთებდე, ან გადაწყვეტილების მიღებას მომდევნო თაობას უტოვებდე? მაპატიეთ, მაგრამ ეს ერის პოლიტიკური ელიტა არ არის, ეს პოლიტიკური მედროვეები არიან!

და რა შესთავაზეს აფხაზეთს საქართველოს მთავრობებმა 1993 წლის შემდეგ, რაზე უარის თქმისაც აფხაზებს შერცხვებოდათ ან მოერიდებოდათ? რომელი რეალური სტრატეგიული პროექტი გააგზავნა თბილისმა სოხუმში ისეთი, რომელიც გაითვალისწინებდა შექმნილ რეალობას და შეძლებდა წყენების გადაფარვას? მსგავსი პროექტი არ ყოფილა.

როდესაც ქართველი პოლიტიკოსები შეშფოთებას გამოთქვამენ აფხაზი ეთნოსის მომავლის გამო ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, სასურველი იქნებოდა, გვეხილა ხალხის „გადარჩენის" ინსტრუმენტები, ალტერნატივა მდგომარეობისა, რომელიც მათ შეშფოთებას იწვევს და მიმსგავსებული იქნებოდა სიცოცხლისუნარიანთან.

თქვენ სიტყვა „იდეალში" გამოიყენეთ. გეტყვით, როგორ მესმის ეს მე. იდეალში ვისურვებდი, მომესმინა ქართული სახელმწიფოს ლიდერისთვის, რომელიც დაახლოებით ასეთ რამეს იტყოდა: **„ჩვენს ურთიერთობებში დაშვებული იყო კატასტროფა. მან დაღუპა ათასობით ადამიანი და დღემდე საფრთხის ქვეშ აყენებს ქართველებისა და აფხაზების ახალ თაობებს, ართმევს მათ ღირსეულ პერსპექტივას. ძალზე სამწუხაროდ, წარსულში ჩვენი ურთიერთობების დარეგულირების მცდელობები წარუმატებელი იყო. თუმცა დრო აღარ გვიტოვებს შანსებს, ოდესმე გამოვასწოროთ ის, რაც მოხდა. ამიტომაც ვფიქრობ რა საკუთარი ხალხისა და აფხაზი ხალხის ბედზე, ვიღებ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც სამომავლოდ აღადგენს ჩვენს ურთიერთობებს და მოიტანს მყარ მშვიდობას — ჩემი მთავრობა აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ამიერიდან აფხაზებს აღარ უნდა ეშინოდეთ საფრთხისა საქართველოდან და უნდა მიიღონ ეს ნაბიჯი, როგორც გაწვდილი ხელი და წინადადება, ვიცხოვროთ ისე, როგორც ცივილიზებულ სამყაროს შეეფერება"**.

მე რომ მომესმინა მსგავსი რამ, მივხვდებოდი, რომ ომი დასრულდა, რომ იწყება ურთიერთობათა ნორმალიზების ახალი, რთული ეტაპი. ცოტაა მსოფლიოში მაგალითი? შეადარეთ, როგორ ცხოვრობენ ისინი და რაზე ვცდებით ჩვენ.

თუმცა რეალური პოლიტიკა შორსაა იდეალებისგან. არადა, კარგი იქნებოდა, მოვსწრებოდით ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეს, ადამიანს, რომელსაც ექნებოდა უნარი, 40-50 წლით წინ მაინც განეჭვრიტა მოვლენები და არ შეეშინდებოდა, რომ მის გადაწყვეტილებებს თანამედროვე ურაპატრიოტების მყვირალა პროტესტები გადაფარავდა.

თუ ჯერ კიდევ მახსოვს ქართული, ასე ვიტყვი: ჭეშმარიტად ჭკვიანი ის არის, ვისაც მომავლის ეშინია და არა აწმყოსი (ფრაზა ქართულადაა ნათქვამი. რედ.).

გვატკინეთ და შეგვაშინეთ



თემურ ჩხეიძე 75 წლისაა

1981 წელი.

მარჯანიშვილის თეატრში, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, თავის პირველ სპექტაკლს დგამს — ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“.

ბედის წყალობით, რეპეტიციას ვესწრები.

პრემიერა მოახლოებულია.

„ამ დილით აფიშას რომ შევხედე, გულმა რეჩხი მიყო“ — ამბობს რეჟისორი...

მე კი იგივე სულ ახლახან დამემართა, იმავე თეატრის ასეთ აფიშას რომ შევხედე:

„თემურ ჩხეიძე — 75“...

* * *

წარმომიდგენია, რამდენს გაუჭირდება ამის დაჯერება;

რამდენი იგრძნობს გულის რეჩხს;

რამდენს ჩაეღვრება სულში სითბო, მის სპექტაკლებს რომ გაიხსენებს...

აქ, მარჯანიშვილში, მანამდე მხოლოდ ერთი დაუდგამს — იბსენის „მოჩვენებანი“, მაგრამ იქ, რუსთაველში?!

„გუშინდელნი“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რობერტ სტურუასთან ერთად)...

სატელევიზიო თეატრი?!

„ჯაყოს ხიზნები“, რომლის გამოც კინაღამ მიხეილ ჯავახიშვილის ბედი გაიზიარა?!

* * *

ასეთი ბეგრაუნდი და მაინც განსაკუთრებული მღელვარება:

როგორი გამოვა სამხატვრო ხელმძღვანელის პირველი დადგმა?

მოლოდინი უსაზღვროდ დიდია, მაგრამ შედეგი მაინც აჭარბებს.

სპექტაკლი, რომელსაც მის ერთ-ერთ უდავო შედევრად აღიარებენ.

მეორე შედევრიც ამ სცენაზე დაიდგმება.

კიდევ უფრო უდავო შედევრი — „ჯაყოს ხიზნები“.

კი, სატელევიზიო თეატრში უკვე დადგმული, მაგრამ სცენაზე მაინც სულ სხვა წარმოდგენა, თვით ნოდარ მგალობლიშვილის თეიმურაზ ხევისთავიც კი „იქ“ შექმნილისგან განსხვავებული.

თანაც, რა დროს დადგმული?!

ხელისუფლება (და არა ხალხი) გეორგიევსკის ტრაქტატის ორას წლისთავს ზეიმობს, მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან კი ეს სიტყვები ისმის:

„მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესია!“

და „გუშინდელნის“ დამდგმელი უკვე საბოლოოდ დაიმკვიდრებს თანამედროვეობის ყველაზე ეროვნული რეჟისორის სახელს.

* * *

გაივლის რამდენიმე წელი.

აირევა ივერია და ეს ყველაზე ეროვნული ქართველი რეჟისორი, ბედის ირონიით, რუსეთში აღმოჩნდება.

არადა, თავისთავად, რაოდენ საამაყო უნდა იყოს ქართველი რეჟისორის ოსტატობისა და პროფესიონალიზმის ასეთი აღიარება: მიწვევა სანკტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში — სამხატვრო ხელმძღვანელად, გიორგი ტოვსტონოგოვის შემცვლელად.

* * *

მე არსად წავსულვარ. ქართული თეატრის დღევანდელ რეპერტუარში ჩემი ხუთი სპექტაკლია! — გვეუბნებოდა მაშინ, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ამით ვერ დაგვამშვიდებდა.

რა გვექნა?!

ჩვენი ბრალი ხომ არ იყო, რუსეთში მის ყოფნას რომ ვერაფრით ვეგუებოდით?!

კი, მართლა დგამდა თითქმის ყოველ წელს, მაგრამ ეს აღარც „გუშინდელნი“ იყო, აღარც „ჰაკი“ და აღარც „ჯაყო“...

* * *

როგორც იქნა, დამთავრდა რუსეთული პერიოდი და ყველაზე ქართველი რეჟისორი ქართულ თეატრს დაუბრუნდა.

დაუბრუნდა, უფრო მეტად, მომავალ მსახიობთა და რეჟისორთა აღმზრდელად — თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში და თავის შემოქმედებით სახელოსნოში, რომელიც სამეფო უბნის თეატრშია დაბინავებული.

ესეც მისი ნამდვილი საქმე და მოწოდებაა.

ამითაც ჰგავს თავის დიდ მასწავლებელს — რა თქმა უნდა, მიხეილ თუმანიშვილს.

ის კი არა, ამას წინათ წამოსცდა — ეს უფრო მაინტერესებსო,

აქ უკეთ ვახერხებ სიღრმეებში ჩაყურყუმალავებასო.

კარგად იყოს და იყურყუმალავოს, აღგვიზარდოს კარგი რეჟისორები და მსახიობები, ოღონდ, ხანდახან მაინც ამოყვინთოს და სპექტაკლიც დაგვიდგას.

კი, დღესაც არის მარჯანიშვილისა და სამეფო უბნის თეატრების რეპერტუარში მისი შესანიშნავი სპექტაკლები, მაგრამ ჩვენ უფრო ქართული გვინდა!..

* * *

რამდენიმე დღის წინათ მისი იუბილე მოზარდ მაყურებელთა თეატრში აღნიშნეს.

იქ ასეთი რამ თქვა: „ძალიან მწყინს, როცა ვუყურებ სპექტაკლს, რომელსაც ფუნქცია არ გააჩნია. სპექტაკლმა ან უნდა გაგართოს, ან უნდა დაგაფიქროს, ხოლო თუ ეროვნულ სატკივარს ეხება, ისე უნდა გატკინოს, რომ შეგეშინდეს. შეგეშინდეს იმის დაკარგვის, რაც ჯერ კიდევ შეგრჩენია.“

გასართობ სპექტაკლებს რომ არ დაგვიდგამთ, ისედაც ვიცით,

ამიტომაც ამას გთხოვთ:

შეგვაშინეთ, ბატონო თემურ!

გვატკინეთ და შეგვაშინეთ!

ეს ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება...

იოსებ ჟუმბურიძე

ფინანსთა სამინისტროს აკადემია აჭარაში

ბათუმში ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ფილიალი გაიხსნა, რომელიც სასერტიფიკაციო, სტაჟირებისა და სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამებს განახორციელებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელია.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო შენობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ გახსნა. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკადემიის ბათუმში ფუნქციონირება ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას, ისე ახალგაზრდების და სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

„მჯერა, რომ ფინანსთა სამინისტროს აკადემია ბათუმში იქნება ერთ- ერთი წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მისცემს საშუალებას, კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს აიმაღლონ კვალიფიკაცია“, — განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

საღ, რა, როდის, ვინ?

ფაქტი, მოვლენა, შეფასება

1926 წლის 24 ნოემბერს

ლონდონში მოკლეს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლეონიდ კრასინი — ადრე ბოლშევიკური „რსდპ ცკ-თან არსებული საბრძოლო-ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი, მრავალი ტერაქტის, მკვლელობის, შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმის („ექსპროპრიაციის“) ორგანიზატორი.

1930 წლის 25 ნოემბერს

მოსკოვში დაიწყო ინჟინრებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ მუშაკთა სასამართლო პროცესი („პრომპარტიის საქმე“), გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) მიერ ფალსიფიცირებული „მრეწველობაში მავნებლობის“ ბრალდებით.

1940 წლის 25 ნოემბერს



ქართველმა არქეოლოგებმა ძველი მცხეთის ერთ-ერთ უბანში — არმაზისხევში ქართველ მეფეთა ერისთავების (პიტიახშების) უძველეს რეზიდენციაში იპოვეს მდიდრული სამარხ-სარკოფაგი და სტელა ორენოვანი (ბერძნულ-არამეული) ეპიტაფიით: „მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა ხსეფარნუგ მეფისა, ძისა აგრიპა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა“.

არმაზის ბილინგვამ ნათელი მოჰფინა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ისტორიის ბევრ საკითხს.

1095 წლის 26 ნოემბერს

საფრანგეთის ქალაქ კლერმონში გამართულ საეკლესიო კრებაზე კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა პაპმა ურბან II-მ გამოაქვეყნა მოსახლეობისადმი მხურვალე მოწოდება, რომ მორწმუნე ქრისტიანებს მონაწილეობა მიეღოთ მუსლიმების (თურქ-სელჩუკების) მიერ დაპყრობილი ქრისტეს საფლავის — ქ. იერუსალიმის გამოხსნისთვის განზრახულ ლაშქრობაში, რასაც მხურვალე გამოხმაურება მოჰყვა. ასე ჩაეყარა საფუძველი ჯვაროსნულ ომებს.

სულ განხორციელდა რვა ჯვაროსნული ლაშქრობა (1096-1270 წ.წ.). აქედან შედარებით შედეგიანი და წარმატებული გამოდგა მხოლოდ პირველი (1096-1099 წ.წ.) და მეოთხე (1202-1204 წ.წ.) ლაშქრობები, დანარჩენი კი ან სრული კრახით დამთავრდა, ან სრულიად უმნიშვნელო შედეგი მოიტანა.

1799 წლის 26 ნოემბერს

თბილისში მუდმივად დასარჩენად შემოვიდა რუსეთის ჯარის ერთი პოლკი გენერალ ლაზარევის მეთაურობით.

1724 წლის 27 ნოემბერს

პეტერბურგში თავი მოჰკვეთეს ვილიამ მონსს, პეტრე პირველის საყვარლის ანა მონსის ძმას. დასჯის მიზეზი იყო ვილიამ მონსის სასიყვარულო ურთიერთობა პეტრეს ცოლთან, იმპერატრიცა ეკატერინა I-თან.

◎ ჭიდაობა

ოქროძმეები



რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დამთავრდა 23-წლამდელ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ქართველმა ფალავნებმა სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ავთანდილ კენჭაძე (74 კგ), მისი ძმა – ნიკა კენჭაძე (79 კგ) და გივი მაჭარაშვილი (97 კგ), ხოლო მძიმე წონაში (125 კგ) როლანდ ანდრიაძემ მესამე ადგილი დაიკავა.

უფროსებში მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ფინალისტმა ავთანდილ კენჭაძემ ზედიზედ დაამარცხა ინდოელი პარვინ მალიკი (10:0), სლოვაკეთის ნაკრების წევრი ახსარბეკ გულაევი (3:0), თურქი მუჰამეტ აკდენიზი (10:0) და რუსეთის ნაკრების ლიდერი ტიმურ ბიჟოევი (4:2), ხოლო ფინალში რუმინელი მაქსიმ სალიოღლუს ძლევას წუთი და 50 წამი მოანდომა. ძმას არ ჩამორჩა ნიკა კენჭაძე, რომელმაც ფინალში რუსი გაჯი ნაბიევი 3:0 დაამარცხა და ჩემპიონობა მოიპოვა. შესანიშნავად იჭიდავა გივი მაჭარაშვილმაც – გადამწყვეტ პაექრობაში ამერიკელ კოლინ მურს საწყის 30 წამში 8 ქულა აართვა, მერე კიდევ ამდენივე დროში მონაგარს ორი ქულა შესძინა, მეტოქე 10:0 დაამარცხა და ისიც ჩემპიონი გახდა.

როლანდ ანდრიაძემ მძიმე წონაში ჯერ უნგრელი მიხალი ნადი (3:2) და ფინელი ჟერე ტაპანი ჰეინო (5:2) დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალი ამერიკელ იუსუფ იბრაჰიმ ჰემიდასთან წააგო. სამაგიეროდ, რეპეშაჟში მან იაპონელ იასუჰირო იამამოტოს სძლია (4:0) და მესამე ადგილზე გავიდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ძიუდო

ჰააგიდან – მწირი ნადავლით

სამი კვირის წინათ ქართველმა ძიუდოისტმა ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ) აბუ დაბის დიდი სლემი მოიგო, გასულ უქმეებზე კი ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში გამართულ გრან პრიზე გაიმარჯვა. ვაჟამ ტურნირზე 5 ორთაბრძოლა გამართა – სტარტზე სამხრეთაფრიკელი დანიელ ლე გრანჟე და ესპანელი დავიდ ტორნე გარსია წამებში დაჯაბნა, მეოთხედფინალში ბოსნიელ პეტარ ზადროს სძლია, მერე მათს გზას მოლდოველი დენის ვიერუ გაუყენა, ფინალში კი ბარუხ შმაილოვის (ისრაელი) დასამარცხებლად ვაზარი იკმარა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მანაც ხუთი ორთაბრძოლა ჩაატარა. ლაშამ პირველ დუელში ამერიკელ ნიკოლას დელპოპოლოს გაფრთხილებებით მოუგო, გერმანელ შამილ ძავბატიროვს ორიოდ წუთში წმინდად აჯობა, თუმცა, ბრაზილიელ ედუარდო ბარბოსასთან დამატებით დროში თავად მიიღო მესამე გაფრთხილება. დამამშვიდებელში რუს დენის იარცევს იპონით სძლია, კიდევ ერთ გერმანელს – ანტონი ზინგს კი დამატებით დროში აჯობა.

ზებედა რეხვიაშვილი (81), ავთანდილ ჭრიკიშვილი (90) და ვარლამ ლიპარტელიანი (100) ტრავმების გამო შეჯიბრებას ნაადრევად ჩამოშორდნენ.

თამაზ პატარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მატჩი განსხვავებული ტაიმებით

ერთი კვირის წინათ „ბორჯღალოსნებმა“ იტალიაში მასპინძლებთან 17:28 წააგეს, სამოას ეროვნულ გუნდს კი ესპანურ სან სებასტიანში აშშ-ის ნაკრებმა სძლია – 30:29, ამიტომაც გასულ შაბათს ავჭალის სარაგბო სტადიონზე მეტოქეები გამარჯვების ჟინით ანთებულნი გავიდნენ საბრძოლველად.

ქართველი და სამოელი მორაგბეები მეხუთედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. 2003 წლის მსოფლიოს თასზე სამოელებმა „ბორჯღალოსნებს“ 46:9 აჯობეს. ეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების პირველი და ბოლო მარცხი იყო კუნძულელებთან: იმავე წლის 23 ნოემბერს მეტოქეს თბილისში 16:15 ვაჯობეთ, 2016 წელს წყნარი ოკეანის ტურნეზე მათ დედაქალაქ აპიაში ფრედ – 19:19 დამთავრდა შეხვედრა, ხოლო ნოემბერში „მიხეილ მესხზე“ კვლავ ქართველებმა იმარჯვეს. ცხადია, სტუმრებს მოგებათა რაოდენობის გათანაბრება სურდათ.

შეხვედრის წინ ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლლება განახორციელა – მოედანზე სამი დებიუტანტი გამოიყვანა: საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი – 19 წლის თედო აბჟანდაძე სასტარტო თხუთმეტეულში მგეზავად მოგვევლინა. თამაშის დაწყებამდე მასპინძლებმა სამოელთა ტრადიციული რიტუალი – ცეკვა „სივა ტაუ“ იხილეს.

მართალია, მატჩის მესამე წუთზე ანგარიში აბჟანდაძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა, მაგრამ შემდეგ თამაშის სადავეები სამოელებმა იგდეს ხელთ და სოლიდური სხვაობით – 19:3 დაწინაურდნენ, ტაიმი კი 19:10 მოიგეს. ამგვარი უპირატესობის შემდეგ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ შეხვედრის მეორე ნახევარში „ბორჯღალოსნები“ გარდატეხის შეტანას შეძლებდნენ. არადა, ქართველებმა დასკვნით 20 წუთში მეტოქეს 17:0 აჯობეს და საბოლოოდ 27:19 გაიმარჯვეს.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები შემოდგომის ტესტ-სერიის დასკვნით პაექრობას 24 ნოემბერს გამართავს – მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 18 საათზე ტონგას უმასპინძლებს.

ლაშა დიდია

◎ ფარიკაობა

რეიტინგში დაწინაურდებიან

პლანეტის 161 საუკეთესო მოფარიკავე და 24 ქვეყნის ნაკრებები მონაწილეობდნენ ალჟირში გამართულ მოხმალავე ვაჟთა მსოფლიოს თასის პირად-გუნდური გათამაშების პირველ რაუნდში. ტურნირზე საქართველოს ოთხი წარმომადგენელიც ცდიდა ძალებს.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რიოს ოლიმპიადის მონაწილემ, ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონმა და უფროსებში ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა სანდრო ბაზაძემ, რომელმაც ჯგუფში ზედიზედ დაჯაბნა ტედი ველერი (ვირჯინიის კუნძულები, 5:0), ჯეფ სპირი (აშშ, 5:1), პაბლო ტროხესი (კოლუმბია, 5:4), ჯაკომო მინგუცი (იტალია, 5:4), გლოდი ბინკოტო მაკანია (კონგო, 5:0) და მხოლოდ უნგრელ ტამაშ დეშთან დამარცხდა (3:5). პლეიოფის პირველ წრეში მან ენო შნეიდერი (გერმანია, 15:8) ჩამოიშორა გზიდან, მერე მის გზას კენტა ტოკუნანი (იაპონია, 15:14) გაუყენა, მესამე წრეში ტუნისელ ფარეს ფარჯანს სძლია 15:10, ნახევარფინალში გადასასვლელი შეხვედრა კი მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონ ენრიკო ბერესთან (იტალია) 11:15 დათმო და მე-6 ადგილზე გავიდა.

ჯგუფში ხუთი მეტოქე დაჯაბნა მიხეილ მარდალეიშვილმაც, მაგრამ პლეიოფის პირველივე შეხვედრაში ამერიკელ ჯეფ სპირთან წააგო (11:15) და მე-40 ადგილს დასჯერდა. ვაჟა რეჭია 4 მოგებით 74-ე იყო, ხოლო ბექა ბაზაძეს ორ მეტოქეებთან მოპოვებული გამარჯვებით 91-ე ადგილი ხვდა. პირველ-მესამე ადგილებზე ჰანსოლ ჰა (კორეა), ლუიჯი სამელე (იტალია), ენრიკო ბერე (იტალია) და სანდუკ ოჰი (კორეა) გავიდნენ.

გუნდურში საქართველოს ნაკრებმა (სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, ვაჟა რეჭია, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) სენეგალსა (45:13) და საფრანგეთს (45:43) მოუგო, მაგრამ იტალიასთან (34:45), უნგრეთსა (41:45) და ირანთან (41:45) დამარცხდა და საბოლოოდ მე-8 ადგილი ერგო. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. კორეა, 2. რუსეთი, 3. გერმანია. ასე რომ, ქართველი მოფარიკავეები როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ რეიტინგში დაწინაურდებიან.

გეგა ფილია

◎ ფიგურული ციგურაობა

ყვითელაშვილის რუსული „ვერცხლი“

ციგურაობის საერთაშორისო კავშირის გრან პრის ეტაპი – „როსტელეკომის თასი“, რომელსაც მოსკოვმა უმასპინძლა, პრესტიჟული შეჯიბრებაა. ტურნირში მსოფლიოს 12 საუკეთესო მოციგურავე ვაჟი მონაწილეობდა, მათ შორის 23 წლის ქართველი მორის ყვითელაშვილი. ჩვენებურმა შესანიშნავად იასპარეზა და ვერცხლის მედალი მოიპოვა: მოკლე პროგრამით მან მეორე შედეგი აჩვენა, მაგრამ პირველი დღის შემდეგ იგი აშკარად გრძნობდა კონკურენტთა სუნთქვას.



საბედნიეროდ, ყვითელაშვილის თავისუფალი პროგრამაც უნაკლო იყო. მორისმა ერთბაშად 3 ოთხმაგი ნახტომი შეასრულა, აქედან 2 - პროგრამის მე-2 ნახევარში. საბოლოოდ მან 158.64 ქულა (81.20 ტექნიკური ელემენტებისთვის +77.44 პროგრამული კომპონენტებისთვის) დაიმსახურა და ორი დღის ჯამში (248.58 ქულა) ვერცხლის მედალი მოიპოვა. საინტერესოა, რომ ტექნიკისთვის მიღებული ქულებით ქართველმა გრან პრის ოქროს მფლობელს, ბოლო 2 ოლიმპიადის გამარჯვებულსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ იუძურუ ჰანიუსაც (იაპონია) აჯობა. ამ უკანასკნელმა 278.42 ქულით დამაჯერებლად გაიმარჯვა. მესამე ადგილი კიდევ ერთ იაპონელს – კაძუკი ტომონოს (238.73) ხვდა.

გივი გაგუა

◎ ხსოვნა გულისა

მასაც მოეწონებოდა

გუშინ ჯემალ მელაძეს 63 წელი შეუსრულდებოდა...

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირის 100-მდე მონაწილეს, მათ შორის სომეხ სტუმრებს, გასულ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენა-1“-ის დარბაზმა უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გურამ გოგოლაძე, ვიცე-პრეზიდენტი ავთანდილ მენაბდე) ორგანიზებით გამართულ მემორიალში მეზობელი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად ტონს სწორედ თაობათა აღმზრდელის შეგირდები იძლეოდნენ.

საპატიო კვარცხლბეკი

მინი კადეტი გოგონები. ასია პოღოსიანი (სომხეთი), ტატა კობახიძე (თბილისი), ნინო ლაპარტია (აბაშა).

მინი კადეტი ვაჟები. ნარეკ სტეფანიანი (სომხეთი), აკაკი გაბიცინაშვილი (თბილისი), საბა გაბელაია (აბაშა).

კადეტი გოგონები. მარი რიჟვაძე (აჭარა), მარი კულუმბეგაშვილი (თბილისი), სოფო გურგენიძე (თბილისი).

კადეტი ვაჟები. გიორგი ლიპარტია (აბაშა), ცოტნე ქობალია (თბილისი), რუბენ გალოიანი (სომხეთი).

იუნიორი გოგონები. თაკო რიჟვაძე (აჭარა), ირინა რუსიძე (თბილისი), მარი ღვინეფაძე (ქუთაისი).

იუნიორი ვაჟები. ლევან პავლიაშვილი (თბილისი), ლაშა ლომია (თბილისი), ბაჩანა ფესანიძე (აჭარა).

დავძენთ, რომ ეროვნული ფედერაციის თავკაცებთან ერთად გამარჯვებულები და პრიზიორები ბატონი ჯემალის დამ ლალი მელაძემ დააჯილდოვა.

გია პლატონიშვილი

რომანტიკული ზღაპარლექსები და კეთილი მეზღაპრე

გურამ პეტრიაშვილის „ახალი და ძველი ზღაპარლექსების“ ახალი გამოცემა



„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“, ჩვენს ბავშვობას კი ჯადოსნური ზღაპრები ალამაზებდა, ბეგია-ბაბუების მოყოლილი ზღაპრები მოხერხებულ გმირებზე, ლამაზ ფერიებზე, მოჯადოებულ ტყეებსა და ქალაქებზე. სწორედ ამ ზღაპრებით შევდიოდით ლიტერატურაში და ამ ზღაპრებით ნასაზრდოებნი ვუსინჯავდით კბილს დიდ კლასიკოსებს. ვინ თხზავდა ამ ჯადოსნურ სამყაროს? ყველას წარმოსახვაში მეზღაპრე, თეთრწვერა მოხუცი, მყუდრო ქოხში, ანდაც ძველებური სახლის სხვენზე წიგნებით გაწყობილ უზარმაზარკარადებიან და მუდამ მოგუზგუზებუხრიან ოთახში ცხოვრობდა. სხვადასხვა საგმირო საქმეებს ან ჩონგურზე, არფასა თუ კობზაზე ამღერებდა, ანდაც ბატის ფრთით აგვირისტებდა ეტრატზე.

● მეტრო „წერეთელთან“ ჩემს უფროს მეგობარს, შესანიშნავ მწერალსა და მსახიობს გურამ პეტრიაშვილს უნდა შევხვდე – თავისი ზღაპარლექსების წიგნი უნდა მისახსოვროს, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ სულ ახლახან მიაწოდა ქართველ მკითხველს. მიხარია, წუთებს ვითვლი, როდის ვიხილავ კიდევ ერთ ახალ წიგნს და როგორ გავიხალისებ რამდენიმე დღეს ბატონი გურამის ფილოსოფიური სამყაროთი. მასზე ადრე ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი, ფილოლოგიის დოქტორი სოსო ჭუმბურიძე მხვდება: **„ბატონ გურამს უნდა შევხვდე, ახალი წიგნი უნდა მაჩუქოსო“**, მითხრა მან. ერთად გავუყევით პროსპექტს გურამის სახლისკენ, შევხვდეთ და გზის გავლით არ გადავღალოთო მეგობარი. იქვე, დიდუბის ეკლესიის მოპირდაპირედ, პატარა სკვერში ჩამომჯდარიყო განუყრელი სვანური ქუდით, თეთრი წვერითა და მუხლებზე დადებული ორი წიგნით. **„შეუძლოდ შევიქენი და ცოტა შევისვენეო“.** მისთვის ჩვეული თბილი წარწერებითა და ლამაზი ნახატებით გაფორმებული წიგნები გადმოგვცა და წიგნის სახლ „შაქრო ბაბუაში“ დაგვპატიჟა ამავე წიგნის წარდგენაზე.

– „პატარას რომ ეფერები ათასნაირ სიტყვებით მოიხსენიებ, ლამაზი, შენით გამოგონილი თუ ტრადიციადქცეული თიკუნებით. ჩემი პირველი ქალიშვილი ოლიკო რომ დაიბადა, მეც ასე ვეფერებოდი – ჩემო კუდრაჭა, ჩემო ღაბუა და ერთ დღესაც მოფერებით ჩემო დინოზავრო-მეთქი, ვუთხარი. ასე დაიბადა პირველი ზღაპარი „პატარა დინოზავრის თავგადასავალი“. ეს ზღაპარი ჟურნალ „დილაში“ 1970 წელს დაიბეჭდა.

სწორედ იმ დღიდან იწყება მოგზაურობა მეზღაპრის მიერ შექმნილ რომანტიკულ ზღაპართა სამეფოში. კეთილი მეზღაპრე თავისი ფილოსოფიური ზღაპარლექსებითაც გვანებივრებს როგორც პატარებს, ასევე ცხოვრების ორომტრიალზე ჩაფიქრებულ უფროს თაობას, ახალ-ახალ სიბრძნეს აფრქვევს, ყოველი ზღაპრის დანიშნულებაც ხომ ესაა. შეიყვარა მკითხველმა გურამ პეტრიაშვილის შემოქმედება, ამის დადასტურია ისიც, რომ მრავალმა ცნობილმა გამომცემელმა ათობით წიგნი გამოსცა და ლამაზად გაფორმებული შესთავაზა მკითხველს, ითარგმნა რუსულ, უკრაინულ, ლიტვურ, ესტონურ, გერმანულ, სლოვაკურ, ბულგარულ, იტალიურ და იაპონურ ენებზე. ქართველი მეზღაპრის რომანტიკული შემოქმედება მოედო მთელ მსოფლიოს, თავად კი შეუმჩნევლად, ყოველგვარი რეკლამირებისა და ქებ-დიდების გარეშე აკეთებს თავის საყვარელ საქმეს, ქმნის ზღაპრებს, ლექსებს, მოთხრობებს, სულ ახლახან, თანამოაზრეებთან, ჟურნალისტებთან, კინორეჟისორებთან, კრიტიკოსებთან, ხელოვანებთან ერთად სახალისო ჟურნალის გამოცემაც ითავა, **„სახალისოც“** შეარქვა, მაღალპოლიგრაფიულ დონეზეც გამოსცა, მწერალთა სახლის დარბაზშიც წარუდგინა ქართველ საზოგადოებას, მაღალი შეფასებაც დაიმსახურა და მსურველებს „პლანეტა ფორტეს“ ჯიხურებშიც შეუძლიათ მისი შეძენა. ჟურნალი სიყვარულზე, მეგობრობაზე, ქვეყნის ერთგულებაზე, კაცთმოყვარეობაზე, საინტერესო და ზოგჯერ, დაუჯერებელ ამბებზე, არც ერთი სიტყვა შურსა და ბოროტებაზე, ურთიერთქიშპობაზე. ჟურნალი, რომელიც თავად გურამ პეტრიაშვილს ჰგავს – გახსნილი, მოსიყვარულე, უშურველი, დაუზარელი, მეოცნებე.

გურამ პეტრიაშვილს სამი მხატვრული და ორი ნახატი ფილმი აქვს გადაღებული, თავად ორმოცამდე ფილმში მიიღო მონაწილეობა, როგორც მსახიობმა, მის მიერ შესრულებული ყველა როლი, მთავარი თუ ეპიზოდური, დასამახსოვრებელია, ორიგინალურია. ასობით ლექსი, ზღაპარი, ლიტერატურული წერილი, დიდი პოლიტიკა, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა პირველი რიგებში დგომა, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი... ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს წევრობა, შემდეგ დიდი, საშინელი და საზარელი პუტჩი, სამოქალაქო ომი, სიკვდილისთვის რამდენჯერმე თვალებში ჩახედვა და პირისპირ დგომა კბილებამდე შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან, დამქანცველი ფიქრი ოჯახზე, მის თანამოაზრე ძმებზე და დევნილობის თითქმის ოცი წელიწადი. ხელი არ ჩაუქნევია თავის მრწამსზე, იდეალებზე, ერთხელ მიცემული ფიცი არ დაურღვევია, თვით მტრებიც კი აფასებდნენ ერთგულებისა და აზრის შეუცვლელობის გამო. გაჭირვებაში, შიმშილსა და სიცივეში, სამშობლოს მონატრებული მაინც ფიქრობდა ერთზე – ეწერა, ეწერა ბავშვებისთვის, შეყვარებულთათვის, ერთგულთათვის, უღალატოთათვის, ეწერა უგნურთათვისაც და მტრისთვისაც, რადგან ისინიც კეთილნი გამხდარიყვნენ, წერდა ზღაპრებს დაუღალავ და უბერებელ ორთქმავალზე, რომელიც ძილსმიჩვეულ და ზოზინა ვაგონებს მიყურთბალიშების ნებას არ აძლევს – **„სივრცეებს მიჰკივის ორთქმავალი, შუქთა ელვარებით მომავალი“**... წერდა ველოსიპედიან დედაბერსა და ბედაურზე ამხედრებულ ბერიკაცზე, თეთრი იასამნების თოვაზე ახალი წლის ღამეს, ცრემლკაცისა და ცრემლიანი ქალის საოცარ ცეკვაზე მეჯლისში – **„ისე ლამაზი, ისე ლამაზი... წამოუვიდა ყველას ცრემლები...“**, – წერდა რითმიან და ურითმო, ძველ და ახალ ზღაპარლექსებს.

მსახიობობიდან (გურამ პეტრიაშვილმა დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტის კინორეჟისურის ფაკულტეტი) გადაინაცვლა დიდ პოლიტიკაში, შემდეგ დიდ ლიტერატურაში, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ მსახიობი და მეზღაპრე დედაუნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ფეხბურთს თამაშობდა უნივერსიტეტის ნაკრებში და წარმატებულადაც. ყოველივე ეს მისმა მეგობრებმა გვამცნეს 16 ნოემბერს მისი ახალი წიგნის წარდგინებისას „შაქრო ბაბუაში“ მისმა მეგობრებმა მათემატიკოსმა, ზვიად **გამსახურდიას** უზენაესი საბჭოს წევრმა **გურამ მაქაცარიამ**, ცნობილმა პროზაიკოსმა და პუბლიცისტმა **მაკა ჯოხაძემ**, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ **ირაკლი კაკაბაძემ**, ცნობილმა სცენარისტმა, კინოფილმ „ნეილონის ნაძვის ხის“ სცენარისტმა **ამირან დოლიძემ**, ოპერის მომღერალმა **რეზო ლაგვილავამ**, გურამის შუათანა ძმამ, ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს წევრმა **რობერტ პეტრიაშვილმა** და უმცროსმა ძმამ, ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა და ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელმა **ზურაბ პეტრიაშვილმა**, ფილოსოფიის დოქტორმა და საზოგადო მოღვაწემ **დენიზა სუმბაძემ**, მწერლის თანაკურსელმა, მათემატიკოსმა **ზაურ გოგრიჭიანმა** და ბიოლოგიის დოქტორმა, უნივერსიტეტში გენეტიკის ლაბორატორიის დამაარსებელმა **თემურ ლეჟავამ**.

ამ შესანიშნავ საღამოს, რომელიც შემოქმედის პატარა იუბილესაც ჰგავდა, წამყვანი გახლდათ ცნობილი გამომცემელი და გამომცემლობა „ინტელექტის“ თავკაცი **კახმეგ კუდავა**, რომელიც ახლა გურამ პეტრიაშვილის მეორე წიგნის „ირინეს ზღაპრების“ გამოცემას აპირებს. საღამოზე მთავარი მომხსენებელი გახლდათ **სოსო ჭუმბურიძე**. ხალხს ვერ იტევდა დარბაზი, მწერლის უამრავი მეგობარი, მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი, ჟურნალისტები დაღლას ვერ გრძნობდნენ და ჯადოსნური ზღაპარლექსების სამყაროში იყვნენ გადასულნი.

კრებულს ამშვენებს ცნობილი ლიტერატორების **ლევან ბრეგაძის, ივანე ამირხანაშვილისა** და **ლევან ბებურიშვილის** შესანიშნავი კრიტიკული ეტიუდები მწერლის ამ ჯადოსნური ზღაპარლექსების შესახებ.

ყველა ზღაპარლექსი დასურათებულია ჩვენი სახალხო მხატვრის **გოგი წერეთლის** მიერ.

ამ შესანიშნავი წიგნის ყდიდან კი შემოგვცქერის უკრაინელი მხატვრის **ვერა კრუტილინას** მიერ შესრულებული მწერლის ფერწერული პორტრეტი. მწერალი-მეზღაპრე შუასაუკუნეების ევროპელ ტრუბადურს ჰგავს, ხელჯოხი არა მარტო გადაადგილების, არამედ, ჯადოსნურ სამყაროში ხანგრძლივი, დაუსრულებელი მოგზაურობის სიმბოლოა, წითელი მოსასხამი სიკეთის, სიყვარულისა და ერთგულების გამოსახულება, თეთრი წვერი სიბრძნეს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მრავალჭირნახული კაცის სიმბოლოდ გვევლინება, რომელსაც ზღაპარიც კი დაეჯერება, სწორედ ამიტომაცაა ზღაპარლექსები რომანტიკული, ფილოსოფიური, ყველასთვის ახლობელი, ისეთივე დაფიქრებულ-დაბრძენებული, კეთილი, ცრემლნაზავი იუმორით სავსე, როგორც თავად მათი შემთხზველი ბატონი გურამ პეტრიაშვილია.

მამუკა ვაშაკიძე

საქართველოში უმუშევრობის დონე გაიზარდა

საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა კვარტალთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.2 პროცენტი შეადგინა. 2018 წლის III კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 64.3 პროცენტი შეადგინა.

წინა კვარტალთან შედარებით, მოსახლეობის აქტიურობის დონე და დასაქმების დონე გაზრდილია 0.3 პროცენტული პუნქტით.

ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე, წინა კვარტალთან შედარებით, შემცირებულია 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 0.9 პროცენტული პუნქტით. 2018 წლის III კვარტალში თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში 48.8 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა კვარტალთან შედარებით. უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2018 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით უმუშევრობის დონე სასოფლო დასახლებებში 0.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო საქალაქო დასახლებებში – 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

უმუშევრობის დონე, ტრადიციულად, მაღალია კაცებში, – ქალებთან შედარებით. 2018 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 1.7 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. აქტიურობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია კაცებში. 2018 წლის III კვარტალში აქტიურობის დონე ქალებში – 56.1 პროცენტს, ხოლო კაცებში – 73.9 პროცენტს შეადგენდა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა შემცირდა

„საქსტატის“ მონაცემებით, 2018 წლის III კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.4 პროცენტით შემცირდა და 923.0 ათასი სული შეადგინა.

„აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 454.1 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.9 პროცენტით ჩამორჩება. ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.0 პროცენტით გაიზარდა და 980.9 ათას სულს მიაღწია. ღორების რაოდენობა 237.6 ათასი სულით განისაზღვრა, რაც 3.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს“, – იტყობინება „საქსტატი“. რაც შეეხება ფრინველს, „საქსტატის“ მონაცემებით, 4.1 პროცენტით შემცირებულია და 9.6 მლნ. ფრთა შეადგინა.

რძის, ხორცისა და კვერცხის წარმოება გაიზარდა

„საქსტატის“ წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის III კვარტალში რძის წარმოებამ 162.1 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 10.1 პროცენტით მეტია.

„ხორცის წარმოებამ 14.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2017 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 2.1 პროცენტით მეტია.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 148.0 მილიონი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.2 პროცენტით აღემატება“, – იტყობინება „საქსტატი“.

ნებას მიშვებული ბიჭი!

„...ჯიბიდან გავარდნილი აფერისტები...“

„აი, ამ არსებებმა, უკვე ვიღაცებს წამოაწყებინეს კამპანია, რომ, რადგან მე მათ ვუწოდე ის, რაც არიან – ჯიბიდან გავარდნილი აფერისტები, ეს თურმე არის ანტისემიტიზმის გამოვლინება“ – ამის შესახებ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მიხეილ სააკაშვილი წერს და ფოტოსაც აქვეყნებს:

„რა თქმა უნდა, მე ვერანაირი პრობლემა ვერ მექნება ებრაელებთან, მაგრამ დიდი პრობლემა მაქვს ამ კონკრეტულ სუბიექტთან, რომელიც ჩამოვიდა ქვეყანაში, რომელზეც არაფერი იცის და ფულის გულისთვის ცდილობს მის საბოლოოდ მოსპობაში მონაწილეობის მიღებას. მინდა განსაკუთრებით არაინფორმირებულებისთვის განვმარტო, რომ ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ ებრაელებს, მათ შორისაა ჩემი ებრაელი რძალი. მაგრამ კონკრეტული რეალობა არის შემდეგი – საქართველოში გვაქვს აფერისტების შემოსევა. რამდენიმე წლის წინ, პატარკაციშვილის დასახმარებლად რუსებმა გამოგზავნეს ამერიკელი აფერისტი მანაფორტი. ამჯერად უკვე ისრაელელი აფერისტი მოშე ჩამოვიდა რუს-ქართველი აფერისტის ბიძინას დასახმარებლად. ასე რომ, მოქალაქეობა ამათ ყველას სხვა და სხვა აქვთ, მაგრამ საქმიანობას ერთნაირს ეწევიან... ამიტომ, მოდით ამ აფერისტებს საერთაშორისო კონსორციუმში ნუ გავურევთ ნურც ებრაელ და ნურც ქართველ ერს...

და კიდევ, 2 კვირის „მუშაობაში“, ივანიშვილმა ამას გადაუხადა მილიონ რვაასი ათასი და პენსიონერებს თვეში უხდის 180 ლარს...“ – წერს სააკაშვილი.

◎ წკეპლიკა

ნაციონალებო, გამოაქვეყნეთ გინების მანიფესტი!

ამბობენ, გაუთავებელი გინება ენას ძვლად აქცევსო. ჰოდა, არ გეშინიათ ძვალი რომ ყელში გაგეჩხიროთ?

მალე, მალე გამოაქვეყნეთ ნაცების გინების მანიფესტი! გვარამია „მთავარი პანდორას ყუთიდან“ კონსულტაციას გაგიწევთ, ლევან ბერძენიშვილი კი სიამოვნებით უჰონორაროდ გაამწვავებს და გამართავს ტექსტს!..

მართლაც, რა უზნეონი და სასაცილონი ხართ, თქვე უდღეურებო!

ლონდა მდივანი

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

„გოჭუნა“ ყულაბების „ნარინჯისფერი ამბავი“

ალბათ, ყველა ბავშვს ჰქონია ბავშვობაში ღორის ფორმის ყულაბა, თუმცა კი, ვინმემ შეიძლება არ იცოდეს, რომ „საბავშვო“ თუ საოჯახო „ბანკისთვის“ ღორის ფორმის მიცემის ტრადიცია ინგლისიდან მოდის.

შუა საუკუნეებში საოჯახო ჭურჭელს იქ ნარინჯისფერი თიხიდან აკეთებდნენ, რომელსაც **Pygg**-ს (ფიგ) უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ზუსტად ისევე ჟღერს, როგორც სხვა სიტყვა „pyg“. რაც „ღორს“ ან „გოჭს“ ნიშნავს. ამდენად, გამოთქმა „თიხის ყულაბა“ ისევე ჟღერდა, როგორც „ჭურჭელი-გოჭუნა“, ანუ უბრალოდ „გოჭუნა“. ჰოდა, სწორედ ამ ერთნაირი ჟღერადობის შესაბამისად, ყულაბების – გოჭის ან ღორის ფორმით დამზადება დაიწყეს. მე-19 საუკუნეში კი ეს ტრადიცია ინგლისიდან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

იცით თუ არა, რომ...

...ტაივანელ მეცნიერთა დაკვირვებით, იმ სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ქალაქგარეთ რეგულარულად გაჰყავთ, ამას მოკლებულ თანატოლებთან შედარებით, ახლომხედველობა რვაჯერ ნაკლებად უვითარდებათ;

...თანამედროვე აკვალანგის წინაპარი ჯერ კიდევ 3,5 ათასი წლის წინათ ძველ ასურეთში მოიგონეს – ეს მილით აღჭურვილი ვაცის ტყავი იყო;

...ყვავები პრიმატებივით საზრიანები არიან. მაგალითად, ისინი კაკალს დასამტვრევად გზის სავალ ნაწილზე შუქნიშნებთან ყრიან, რათა მანქანებმა ზედ გადაუარონ და გატეხონ, ხოლო ნაჭუჭიდან ნაყოფს მხოლოდ წითელი ნიშნის ანთების შემდეგ იღებენ, რათა ბორბლებში არ მოჰყვნენ;

...კუბის დედაქალაქ ჰავანაში ერთი ბოთლი რომი ერთ ბოთლ სასმელ წყალზე იაფი ღირს;

...მზის ქარი წამში 450 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს;

გამყინვარების ხანის... პური

14 ათას წელზე მეტი – ასეთია 24 პურის ნამცეცის ასაკი, რომლებიც მეცნიერებმა იორდანიის დედაქალაქ ამანიდან 150 კილომეტრის მოშორებით უდაბნოში ნახეს. ჰოლანდიელმა არქეოლოგებმა მათ ძველ ადამიანთა სადგომზე მიაგნეს, რომელიც „შიბაიკა-I“-ის სახელწოდებითაა ცნობილი.

ნამცეცები კერის ქვებს შორის ღრიჭოებში იყო ჩაცვენილი, რომელიც იმ შორეულ წარსულში ეგრეთ წოდებული ნატუფიური კულტურის ადგილობრივ წარმომადგენლებს თავიანთ სადგომზე გაემართათ.

მეცნიერთა განცხადებით, ნაპოვნი პური მსოფლიოში უძველესია. ის 5 ათასი წლით ადრე გამოუცხვიათ, ვიდრე ადამიანებმა მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი და მარცვლოვანი კულტურების მოყვანა ისწავლეს. არქეოლოგებმა აღადგინეს უძველეს ხაბაზთა რეცეპტი და, ექსპერიმენტის სახით, გამყინვარების ხანის პური გამოაცხვეს, რომელიც ველური ხორბლის, ქერისა და შვრიის უხეშად დაფქვილი მარცვლებისგან გამოაცხვეს. ნამცეცები რომ გაახმეს, მათი სტრუქტურა იმ 14 ათასი წლის წინანდელის ზუსტი ასლი გამოდგა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6727; ევრო - 3.0268;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4240;
100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.4988;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5768;
1000 სომხური დრამი - 5.51304.

ამინდი 20 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge